დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნინო მალანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
აკაკი სადუნიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე კვირკველია - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**230062026**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	სოფელი არგვეთა
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი არგვეთა
საფოსტო ინდექსი	**2000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/schools/890?schoolName**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**argvetisskola292@gmail.com; argveta@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577317915**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 07 სექტემბრის N MES 3 23 0001097213 ბრძანება (რომელშიც ცვლილება განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 19 სექტემბრის N MES 9 23 0001191188 ბრძანებით)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12 და 13 ოქტომბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი (I-VI კლასები)	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო (VII-IX კლასები)	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო (X-XII კლასები)	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ გარემოში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 240	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 105 მოსწავლე. სკოლის მატერიალური რესურსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია 240 მოსწავლისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. სკოლის ბალანსზე ირიცხება სასწავლო პროცესისთვის ვარგის მდგომარეობაში არსებული 150 მერხი. მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 150 მოსწავლით.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
კომპონენტი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1(3)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ჩართულობის მტკიცებულების წარმოდგენა.
ინდიკატორი N1.2.1(2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში უზრუნველყოს:** 1. *ყველა სტრატეგიული მიზანის ჩაშლა ამოცანებად;* 2. *რეალისტური ამოცანების გაწერა (ამოცანები უნდა გაიწეროს სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე);* 3. *სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარში ყველა გაწერილი ამოცანის შესრულების პერიოდის ასახვა.*
ინდიკატორი N1.2.1(3)	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების გაწერა სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი N1.2.1(4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.1(1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს:** 1. *თანამდებობრივ ინსტრუქციებში კანონმდებლობის შესაბამისად გაწეროს სპეციალური მასწავლებლისა და ექთნის ფუნქციები, ასევე წამყვანი/მენტორი მასწავლებლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები.* 2. *ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეუსაბამოს ერთმანეთს.* 3. *უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება და უფლებამოსილებების განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.1.1(2)	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და გაწერა (დეტალური აღწერა იხ. გვ. 40).*

ინდიკატორი N3.1.2(1)	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს შინაგანაწესის შესაბამისობაში მოყვანა შრომის კოდექსთან და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებთან.*
ინდიკატორი N3.1.2(3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024-მდე) უზრუნველყოს:** 1. *სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ბიბლიოთეკარის და ექთნის პოზიციაზე შესაბამისი კადრების დასაქმება.* 2. *ყველა დასაქმებულის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის განთავსება.* 3. *იდენტიფიცირებული 3 მასწავლებლის პირად საქმეში ზოგადი ნასამართლეობის ცნობების განთავსება.* 4. *სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირად საქმეში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობების განთავსება (ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა 2020 წლის ივნისის მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულთა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი სახელობითი სია, ყველა დასაქმებულის პირად საქმეებში უნდა განთავსდეს აღნიშნული ცნობები).* 5. *იდენტიფიცირებული 3 თანამშრომლის პირად საქმეში CV და ფოტოსურათის განთავსება, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც სკოლას განსაზღვრული აქვს შინაგანაწესის მე-8 მუხლით.*

ინდიკატორი N3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024-მდე) უზრუნველყოს:** *1. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ მიწერილობის მოპოვება.* 2. *შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთნის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სრული აღჭურვილობითა და მედიკამენტებით.*
ინდიკატორი N3.4.1(2)	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.07.2024-მდე) მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე უზრუნველყოს* საზოგადოებრივი *წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის კუთხით აუცილებელი საკითხების განხილვა, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისათვის წარდგენა, საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად.*

ინდიკატორი N3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.12.2023-მდე) უზრუნველყოს თანამშრომლების პერსონალურ მონაცემების დამუშავება მათი წერილობითი თანხმობის საფუძველზე (შესაძლოა გაწეროს შრომით ხელშეკრულებაში).*
ინდიკატორი N3.5.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.204-მდე) უზრუნველყოს სკოლის ახლად აშენებული შენობის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ახალი საკადასტრო გეგმისა და საკადასტრო კოდის შესაბამისად (დეტალური აღწერილობა იხ. გვ. 59-60).*
ინდიკატორი N3.5.1(2)	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.09.204-მდე) უზრუნველყოს სასწავლო რესურსების კატალოგისა და წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლიოთეკო წარმოების წესის შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.6.3(5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023-მდე) უზრუნველყოს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე სკოლის შესახებ სტანდარტის ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.*

	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
ინდიკატორი N3.7.1(2)	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.11.2024-მდე)უზრუნველყოს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემის დანერგვა, კერძოდ:** *1. დაამტკიცოს შესყიდვების განხორციელების შიდა წესი, რომლის შესაბამისადაც უნდა განახორციელოს წლიური შესყიდვები.* *2. შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება განახორციელოს დირექტორის მიერ გამოცემული შიდა ბრძანებებით (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები).* 3. *გაწეროს საპროგნოზო ბიუჯეტი მომდევნო თვეებზე.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N4.2.1(1)	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023-მდე) უზრუნველყოს მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით დეტალურად განსახორციელებელი პროცედურების შემუშავება/დამტკიცება.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024-მდე) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით აღჭურვა, საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების*

		მიმართულებით გაკვეთილების ლაბორატორიულ სივრცეში ჩატარების უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024-მდე) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით აღჭურვა, საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაკვეთილების ლაბორატორიულ სივრცეში ჩატარების უზრუნველსაყოფად.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი ...		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2(1)	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ჩანაწერის გასწორება ადამიანური რესურსების მართვისა და

	და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	განვითარების მექანიზმების დოკუმენტის სხვადასხვა მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები ადამიანური რესურსების განვითარების პროცესში, ვინაიდან სკოლის საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს მოადგილისა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციებს.
ინდიკატორი N3.1.2(6)	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა შინაგანაწესიდან ამოიღოს დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა წახალისების ფორმებიდან, ვინაიდან დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში არ გამოიყენება წახალისების ფორმები, გარდა ამისა, მასწავლებლის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა წარმოადგენს დისციპლინური კომიტეტის პრეროგატივას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის'' შესაბამისად.
ინდიკატორი N3.2.1(1)	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მასწავლებელბისთვის მიცემული უკუკავშირები აწარმოოს წერილობითი ფორმით და ხარისხის მართვის მიზნებისთვის განახორციელოს შედეგების დოკუმენტირება, ასევე უზრუნველყოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის

		შემადგენლობის განახლება.
ინდიკატორი N3.2.1(4)	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სკოლას მიეცა რჩევა, ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი და ეფექტური სოციალიზაციის მიზნებისთვის შეიმუშაოს თანამშრომელთა ადაპტაციის დეტალური წესი.
ინდიკატორი N3.3.1(1)	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი დაამუშაოს და მოარგოს სკოლას.
ინდიკატორი N3.3.1(2)	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლას მიეცა რჩევა ცვლილებების შეტანის გზით დახვეწოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დასარეგულირებლად დამტკიცებული სხვადასხვა დოკუმენტაცია, იმისათვის რომ უზრუნვეყოფილი იყოს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა.
ინდიკატორი N3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	***სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:*** 1. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების" მარეგულირებელი დოკუმენტიდან უზრუნველყოს მანდატურის, როგორც უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ რგოლის ამოშლა, ვინაიდან სკოლას არ ჰყავს ასეთი მანდატური. 2. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
ინდიკატორი N3.4.1(4)	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ტერიტორიაზე უზრუნვეყოს სასმელი წყლის რეზერვუარის განთავსება და სასკოლო საზოგადოების სასმელი წყლით მომარაგება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური

		დაცვის მინისტრის N40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინის შესაბამისად „წყალი, სანიტარია, ჰიგიენა სკოლაში". ასევე, უზრუნველყოს ამავე გაიდლანით დადგენილი წესითა და პერიოდულობით წყლის ავზის დეზინფექცია-დასუფთავება.
ინდიკატორი N3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანამშრომლებისგან მოიპოვოს წერილობითი თანხმობა (შესაძლოა გაწეროს შრომით ხელშეკრულებაში).
ინდიკატორი N3.5.1(5)	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და გამდიდრება.
ინდიკატორი N3.6.1(1)	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს კომპიუტერული რესურსის განახლება და გამდიდრება.
ინდიკატორი N3.6.1(2)	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა, კომპიუტერების რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი N3.6.3(1)	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რაც უფრო მოქნილს გახდის სკოლასა და სასკოლო საზოგადოებას შორის

	შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	კომუნიკაციას და მათგან უკუკავშირის მიღებას. ვინაიდან სკოლას ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით.
ინდიკატორი N3.6.3(3)	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა აწარმოოს ანონიმური კითხვარების მეშვეობით და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით შეიმუშაოს სერვისის გაუმჯობესების გეგმა.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.2(1)	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების პროგრამა გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში ან სადამრიგებლო პროგრამაში, კლასების, თემატიკის, პასუხისმგებელი პირებისა და განსახორციელებელი აქტივობების მითითებით, რითაც უფრო მკაფიოს გახდის მომსახურების პირობებსა და ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორი N4.2.3(1)	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	მიეცა რჩევა ყველა საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგემა, შესაბამისობაში მოიყვანოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ფორმებთან.
ინდიკატორი N4.2.4(1)	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული წრის მომსახურების ფრაგლებში, მშობლებთან და წრის მასწავლებელთან ხელშეკრულებების გაფორმება მომსახურების გაწევის თაობაზე.

	შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **მათემატიკაში** წარმოდგენილი კურიკულუმების ნიმუშის მიხედვით შეიმუშაონ და დახვეწონ კურიკულუმები მე-2 და მე-3 კლასისთვის. 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მიმართულებით ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს ყველა საგნობრივ თემაში. 3. **ფიზიკური აღზრდის** I-IV კლასების კურიკულუმებში თეორიულ ნაწილში მასწავლებლებმა შესთავაზონ მოსწავლეებს მრავალფეროვანი თემები და საკითხები, ხოლო V-VI კლასების კურიკულუმებში დაიგეგმოს თემა "მავნე ჩვევების პრევენცია (თამბაქო, ალქოჰოლი, ნარკოტიკი)". 4. **სახელმწიფო ენის** კათედრამ დააკონკრეტოს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შესაბამისი ცნებება და ქვეცნება
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **ესთეტიკური აღზრდის** მიმართულებით III კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკი

	ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	,,ადამიანი და ხელოვნება" ჩასწორდეს ისე,რომ დამუშავდეს სტანდარტით გათვალიწინებული ოთხივე სამიზე ცნება; 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მიმართულებით კათედრამ სასწავლო კურიკულუმის სრულყოფისთვის ფუნქციურ-კომპონეტური უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურიკულუმში გაწეროს ის მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები, რომელიც მათი აზრით დაეხმარება აღნიშნული მიმართულბების განვითარებაში. 3. ფიზიკური აღზრდის მიმართულებით კათედრამ I-II კლასების კურიკულუმებში თეორიული საკითხების ძირითად კონტექსტ-მაგალითებში დაგეგმოს, მაგალითად, ბუკლეტის ან/და ნახატების მომზადება და სკოლის სივრცეში გამოფენის მოწყობა.
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	სკოლას მიეცა რჩევა **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის მიერ გადაიხედოს შეფასების რუბრიკები და მომზადდეს ყველა თემისათვის.

ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	სკოლას მეიცა რჩევა ***საზოგადოებრივი მეცნიერებების*** მიმართულებით შემდგი წლის კურიკულუმში წარმოადგინოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას პროექტებზე, და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორცილებული აღნიშნული ინტერვენციები.
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	***სკოლას მიეცა რჩევა:*** 1. ***სახელმწიფო ენაში*** დააკონკრეტონ შესასწავლად გამოკვეთილი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი სამიზნე ცნებება/ქვეცნება. 2. ***საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კურიკულუმებში*** დააკონკრეტოს სამიზნე ცნებები, რომელბიც დამუშავდება სხვდასხვა თემაში საგან "ჩვენი საქართველოსა" და ,,მე და საზოგადოებაში" რადგან დაცული იყოს პრონციპი, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმდგავარდ მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება.
ინდიკატორი N2.2.2.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე	სკოლას მიეცა რჩევა **მათემატიკის** კათედრამ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად

		დახვეწოს კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **სახელმწიფო ენის მიმართულებით** გაამრავალფეროვნოს კურიკულუმი სხვადასხვა რესურსით (მაგალითად: თემის შესაბამისი მულტიმედიური ტექსტებით). ასევე დააკონკრეტოს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შესაბამისი ცნებება და ქვეცნება. 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** სასკოლო კურიკულუმებში გაიზარდოს შუალედური მიზნები/ ან სკოლამ წარმოადგინოს ისეთი ტიპის დავალება, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავებას ისეთ თემებში, რომელშიც არ გვხდება კომპლექსური დავალება. ასევე საგან გეოგრაფიაში არ გვხდება, შუალედური მიზნები, რაც მნიშვნელოვანია გაიწეროს და ამასთან ერთად დაზუსტდეს კონტექსტი, რომელთან მიმართებაშიც მოხდება ცნებების დამუშავება.

		ასევე, სასწავლო კურიკულუმი სრულყოფისთვის ფუნქციურ-კომპონეტური უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურიკულუმში გაწეროს ის მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები, რომელიც მათი აზრით დაეხმარება აღნიშნული მიმართულბების განვითარებაში.
ინდიკატორი N2.1.2.3	ასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	სკოლას მიეცა რჩევა **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეზე მორგებული პროდუქტის შექმნა და შესაბამისი ცნებების მიხედვით ჩაშლილი აქტივობები მოსწავლეს საჭირეოებებს კიდევ უფრო მეტად დაუხლოვდეს
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	**სკოლას მეიცა რჩევა:** 1. **მათემატაში** დახვეწოს კომპლექსური დავალების კონტექსტს მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** შეფასების რუბრიკები უნდა გადაიხედოს და მომზადდეს ყველა თემისათვის. 3. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის მიმართულებით** შეიმუშავოს საბაზო საფეხურზე გასავლელი თემების შესაბამისი მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** შემდეგი წლის სასწვლო კურიკულუმში წარმოადგინოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა მუშაობა პროექტებზე, და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორცილებული აღნიშნული ინტერვენციები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გაიზარდოს შუალედური მიზნები, რომელიც თავის არსისთ იძლევა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის შესაძლებლობას
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **სახელმწიფო ენაში** დააკონკრეტოს შესასწავლად გამოკვეთილი ყველა დავალების შესაბამისი სამიზნე ცნებება და ქვეცნება. 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** პედაგოგებმა დააკონკრეტონ სამიზნე ცნებები, რომელბიც დამუშავდება სხვდასხვა თემაში, იმისათვის, რომ დაცული იყოს პრონციპი - ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევევ მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარად მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება
ინდიკატორი N2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად **მათემატიკაში** შექმნას კომპლექსური

		დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე
ინდიკატორი N2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სკოლას მიეცა რჩევა **მათემატიკაში** შექმნას მოსწავლეთა შეფასებისთვის სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე რუბრიკები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საშუალო საფეხურის კურიკულუმი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** უზრუნველყოს საშუალო საფეხურების ჩარჩო დოკუმენტებისა და სასწავლო კურიკულუმის სრულყოფა

ინდიკატორი N2.1.2.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **სახელმწიფო ენაში** შეიტანოს კურიკულუმის ჩაჩოში დანართის სახით გამოგზავნილი განსახორციელებელი კომლექსური დავალებები თემების შესაბამისად. 2. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სასკოლო კურიკულუმებში გაიზარდოს შუალედური მიზნები/ ან სკოლამ წარმოადგინოს ისეთი ტიპის დავალება, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავებას ისეთ თემებში, რომელშიც არ გვხდება კომპლექსური დავალება. 3. **სპორტში** მოსწავლეებს შესთავაზოს ან განსხვავებული თემა, ან იგივე თემის ფარგლებში განსხვავებული საკითხების გავლა

ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს გათვალიწინებული იყოს მოსწავლეზე მორგებული პროდუქტის შექმნა და შესაბამისი ცნებების მიხედვით ჩაშლილი აქტივობები მოსწავლეს საჭირეოებებს კიდევ უფრო მეტად დაუხლოვდეს. 2. **უცხო ენებში** შეიქმნას კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გახდება ინსტრუმენტი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების დასადგენად. სასურველია კათედრამ გააუმჯობესოს ამ მხრივ პრაქტიკა და მოსწავლეებს შესთავაზონ კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. **მათემატიკაში** დახვეწოს კომპლექსური დავალების კონტექსტს მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს 2. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** შეფასების რუბრიკები უნდა გადაიხედოს და მომზადდეს ყველა თემისათვის.

		3. **სპორტში** შეიმუშავოს საშუალო საფეხურზე გასავლელი თემების შესაბამისი მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. 4. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** შემდეგი წლის სასწავლო კურიკულუმში წარმოადგინოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა მუშაობა პროექტებზე და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორციელებული აღნიშნული ინტერვენციები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გაიზარდოს შუალედური მიზნები, რომელიც თავის არსისთ იძლევა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის შესაძლებლობას.
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სკოლას მიეცა რჩევა **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** პედაგოგებმა დააკონკრეტონ სამიზნე ცნებები, რომელბიც დამუშავდება სხვდასხვა თემაში საშუალო საფუხერზე საზოგადოებრივი მეცნირებების მიმართულებით, რადგან დაცული იყოს პრონციპი, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევევ მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმდგავარდ მოდიფიცირდეს, რომ

		უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება
ინდიკატორი N2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	**სკოლას მიეცა რჩევა** ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად **მათემატიკაში** დახვეწოს კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე.
ინდიკატორი N2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკაში** მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასებისთვის სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე რუბრიკები

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(3); 1.2.1(2); 1.2.1(3); 1.2.1(4); მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.1(1); 3.1.1(2); 3.1.2(1); 3.1.2(3); 3.4.1(1); 3.4.1(2); 3.4.1(5); 3.5.1(1); 3.5.1(2); 3.6.3(5); 3.7.1(2); მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - 4.2.1(1);), ასევე, მეორე სტანდარტთან მიმართებით კომპონენტი 2.2 საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მისია, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში ასახულია ისეთი დებულებები როგორიცაა: არაფორმალურ განათლებაზე დაყრდნობით მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ინტეგრირებას, საკუთარი შესაძლებლობის გათვალსიწინებით შექმნან ღირებული ცოდნა, იყვნენ ინოვატორები და კონკურენტუნარიანები. სკოლის ხედვაში ასახულია, რომ სკოლის დასრულების შემდგომ, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ გლობალურ- ფუნქციური უნარები, დაეუფლებიან ჯანსაღი ცხოვრების წესს, გაიაზრებენ მდგრადი განვითარების მიზნებსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს, რათა მოზარდებში მოხდეს უფლებებისა და მოვალეობების გათავისება, ჩამოუყალიბდეთ გენდერული თანასწორობის პრინციპები, რათა მოხდეს მათი მაღალი ზნეობის მატარებელ, დემოკრატიულ საწყისებზე აღზრდილ მოქალაქედ ჩამოყალიბება. სკოლა დაეხმარება მოსწავლეს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვისას, რათა მოხდეს საზოგადოებაში მათი თვითდამკვიდრება და თვითაქტუალიზაცია. სკოლის მისია და ხედვა დამტკიცებულია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.
   დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. შესაბამისად, 1.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისიასა და ხედვაში აქცენტი გაკეთებულია არაფორმალურ განათლებაზე, გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაუფლებაზე, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზე და უფლებებისა და მოვალეობების გათავისებაზე. შესაბამისად, სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების თვალსაზრისით. **შესაბამისად, დადგინდა, რომ მისიითა და ხედვით სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს და 1.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, მათ შორის, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი სასკოლო საზოადგოების ჩართულობით, თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის მშობელთა კრებების ოქმები, რომელშიც განხილულია მშობლებისთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის საკითხი, თუმცა ვერ დგინდება უშუალოდ შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის არსებობა და მათი აზრი იყო თუ არა გათვალისწინებული სკოლის ფილოსოფიის საბოლოო სახით ფორმირებისას. **სკოლამ უნდა უზრუნველყოს არსებული მისიისა და ხედვის რევიზია და ჩართულობის მტკიცებულების წარმოდგენა.**
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. როგორც დადგინდა, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება მოხდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცება განხორციელდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ვებ-გვერდის დათვალიერებით ასევე დადგინდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ვებ-გვერდზე. **შესაბამისად, სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან და 1.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის ფოიეში, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, დგინდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწდვომი და **1.1.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, შემოსაველბის სამსახურში დაფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობით დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის

15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". **ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, 1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- მშობელთა კრებების ოქმები ფილოსოფიის გაცნობაზე;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შემოსავლების სამსახურის ამონაწერი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც ადგენს სკოლის მმართველობით პროცესს - მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპებს. განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. დოკუმენტის მე-4 თავის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭო და თემი. სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი კი არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ სამუშაო ჯგუფის შექმნას სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფრმაციის შეგროვებით, გამოიყენება SWOT ანალიზის მეთოდი. დგინდება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, **შესაბამისად, 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის ციკლური და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, როგორიცაა: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, კვალიფიციური კადრები, არაფორმალური განათლების გაძლიერება, ციფრული ტრანსფორმაცია, ინოვაციური მიდგომები, განათლების ინკლუზია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, მონიტორინგი და შეფასება. თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში სტრატეგიული მიზნები, როგორიცაა ინოვაციურობა და განათლების ინკლუზია, არ არის ჩაშლილი ამოცანებად. ასევე, გაწერილი ამოცანები არ ასახავს სკოლის რეალურ საჭიროებებს, კერძოდ, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზანი ჩაშლილია ისეთ ამოცანებად, რომელთა შესრულების საჭიროებაც არ დგას, მაგალითად, სპორტული ინსფრასტრუქტურის მოწყობა, მოსწავლეთა საცხოვრებელი

კამპუსის აშენება, სპორტული კომპლექსისთვის შენობის აშენება. სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარში არ არის მონიშნული ყველა გაწერილი ამოცანის შესრულების პერიოდი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში უნდა უზრუნველყოს ყველა სტრატეგიული მიზნის ჩაშლა ამოცანებად, რეალისტური ამოცანების გაწერა (ამოცანები უნდა გაიწეროს სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე) და სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარში ყველა გაწერილი ამოცანის შესრულების პერიოდის ასახვა.

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის შესწავლითაც დგინდება, რომ ერთწლიან გეგმაში გაწერილი მიზნები და ამოცანები არ არის თანხვედრაში სტრატეგიულ გეგმასთან. ასევე, სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობები არ გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უნდა უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების გაწერა სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

4. სკოლამ წარმოდგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს აქტივობებს, კალენდარულ თვეებზე გაწერილ შესრულების ვადებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს. გეგმაში არ არის ასახული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესრულებისთვის საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უნდა უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მონიტორინგის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს გეგმებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. მუხლში დეტალურადაა გაწერილი მონიტორინგის განხორციელების მეთოდი. **ვინაიდან სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, 1.2.2 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ***ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.***

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.
4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დარაჯი და დამლაგებელი.

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია შესასრულებელი ფუნქციები. სკოლამ ასევე წარმოადგინა **თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციები, თუმცა მასში არ იყო ასახული ფუნქციები ყველა თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით. კერძოდ, დოკუმენტში არ იყო ასახული დირექტორის, ექთნის, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები. დამრიგებლის ფუნქციებში გაწერილია მატერიალური საკლასო ჟურნალების წარმოების და მოვლა-შენახვის დებულებები, რაც უნდა გასწორდეს. ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც შესაბამისობასი უნდა იქნას მოყვანილი.**

თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, ხოლო სტრუქტურაში დაქვემდებარების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით განსაზღვრული იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის წარმოდგენაც ევალება კანდიდატს/დასაქმებულს.

სკოლამ წარმოადგინა გრაფიკული სტრუქტურა, რომლის თანახმადაც სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლის წარმომადგენლბის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების'' შესაბამისად.

გარდა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამისი დებულებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, ყოველწლიურად ხდება მასწავლებლებისთვის დამრიგებლის ფუნქციის დაკისრება.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰყავდა შექმნილი მრჩეველთა საბჭო და შესაბამისად, არ ხორციელდებოდა მისი უფლებამოსილებები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.11.2023-30.11.2023. თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სტრუქტურული ერთეულებისა

და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციები. თუმცა, სპეციალური მასწავლებლის ფუნქციებში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის" 23-ე მუხლში გაწერილი ფუნქციები, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" წამყვანი/მენტორი მასწავლებლების მიერ შესასრულებელი ფუნქციები. ხოლო ექთნის ფუნქციებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული ექთნის ფუნქციები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების ბრძანება, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში მრჩეველთა საბჭო არსებობდა, თუმცა არ ფუნქციონირებდა, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი საქმიანობის ამსახველი ოქმები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საგნობრივი კათედრების, ინკლუზიური განათლების, სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმები. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას დასაქმებული არ ჰყავდა ექთანი (კონკურსი ჩაიშალა), შესაბამისად, ვერ ხორციელდება სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების ფარგლებში გასაწევი მომსახურება. როგორც 3.1.1.1 ინდიკატორთან აღინიშნა, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და გაწერილი სკოლაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და შესაბამისად, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს ოქმები და სამუშაო გეგმები.
- სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვისას სკოლა ეყრდნობა საქართველოს შრომის კოდექსს, მოქმედი კანონმდებლობას, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმებს, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სკოლის შინაგანაწესს.
   ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია როგორ ახორციელებს სკოლა

ადამიანური რესურსების მართვას, მექანიზმების მიზნები და სტრატეგია. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა. დოკუმენტის სხვადასხვა მუხლში განსაზღვრულია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები ადამიანური რესურსების განვითარების პროცესში, თუმცა სკოლის საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს მოადგილისა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციებს. ***შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ჩანაწერის გასწორება.***

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს შრომითი ურთიერთობის პირობებს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ბევრ უზუსტობას და საჭიროებს გასწორებას. კერძოდ, **შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ, თუმცა მისი დამტკიცება წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს კომპეტენციას. შინაგანაწესი მოიცავს ისეთ რეგულაციებს, რომელიც აღარ არის აქტუალური, მაგალითად, ვიზიტორის სკოლის შენობაში დაშვება მხოლოდ პირბადის გამოყენებით და სხვა კოვიდ რეგულაციები. დოკუმენტში ნახსენებია, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულია ხარისხის მართვის მენეჯერი (მუხლი 5), ასევე ნახსენებია პრორექტორი და რექტორი (მუხლი 23), რაც არ შეესაბამება სკოლის საშტატო განრიგს და ასეთი პოზიცია სკოლაში არ არსებობს. სკოლის შინაგანაწესში შრომითი ურთიერთობის შეჩერების პირობად (მუხლი 17) მოყვანილია მხოლოდ მივლინება. შინაგანაწესში მოყვანილი შორმითი ურთიერთობის შეწყვეტის მუხლები შესაბამისობაშია მოსაყვანი შრომის კოდექსთან. ასევე მითითებული ძალადაკარგული ნორმატიული აქტები და არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებასთან.**

სკოლასთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების კონკურსის გამოცხადების წესების შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.11.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ თანდართული დოკუმეტის სახით წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომელზეც განხილულია შინაგანაწესის დამტკიცების საკითხი, თუმცა არ არის წარმოდგენილი კორექტირებული შინაარსის შინაგანაწესი.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის

შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და კონკურსის გამოცხადებისას, დასაქმების ვებ-გვერდზე - teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც დასტურდება სკოლის მეერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციითა და teacherjobs.ge-ზე განთავსებული ვაკანსიებით. სკოლამ კონკურსის გზით შეარჩია საქმისმწარმოებელი, ასევე გამოაცხადებული ჰქონდა კონკურსი ექთნის პოზიციაზე.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. ადმინისტრაციის ან ტექნიკური პერსონალის საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადების შემთხვევაში კი ხდება ფუნქციების დროებით შეთავსება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია თანამშრომლის გაცდენის შემთხვევაში დირექციის შეტყობინების წესი. სკოლის დირექციის განმარტებით იგი ფუნქციების დროული გადანაწილებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისად, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებისგან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის პროცედურების შესახებ და მსგავსი საჭიროების დადგომის შემთხვევში გამოითქვა მზადყოფნა კონკურსი ჩაატაროს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა შიდა აქტით დამტკიცებული თანამშრომელთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ნუსხა. **სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის და ექთნის საშტატო ერთეულები, თუმცა სკოლას არ ჰყავს დასაქმებული კადრები აღნიშნულ პოზიციებზე.**

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა ვიზიტის დროისთვის სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და პირადი

საქმეები. შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლების ნაწილის პირად საქმეში არ არის განთავსებული ნასამართლეობის ცნობები, კერძოდ: **უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა არ დევს არცერთი თანამშრომლის პირად საქმეში. 3 მასწავლებლის პირად საქმეში არ არის განთავსებული ზოგადი ნასამართლეობის ცნობები. ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა 2020 წლის ივნისის მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულთა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი სახელობითი სია, ყველა დასაქმებულის პირად საქმეებში უნდა განთავსდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობები. გარდა ამისა, 3 თანამშრომლის პირად საქმეში არ არის განთავსებული CV და ფოტოსურათი, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც სკოლას განსაზღვრული აქვს შინაგანაწესის მე-8 მუხლით.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023-30.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, მათ შორის 20 მასწავლებელია (5 უფროსი, 13 წამყვანი, 1 სპორტის მასწავლებელილ სტატუსის გარეშე, 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი). სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული იყო დირექტორის მ/შ (1), ბუღალტერი (1), საქმისმწარმოებელი (1), დარაჯი (2), დამლაგებელი (3), ხოლო ვაკანტური იყო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და ბიბლიოთეკარის პოზიციები. როგორც გაირკვა, სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა, რომელსაც ჰქონდა დიპლომით მასწავლებლის კვალიფიკაცია, ჩააბარა სპორტის გამოცდა და დასაქმებულ იქნა უფროს მასწავლებლად. სკოლამ წარმოადგინა წერილი, რომელიც გაგზავნილი აქვს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. სკოლას თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილი ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ტექნიკური და დამხმარე პერსონალისთვის. **დასაქმებული პირების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის მიერ დადგენილ პირობებს. შესაბამისად, 3.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე. გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება გუნდურად. კათედრების შეხვედრებზე იქმნება საგნობრივი კურიკულუმები, სხვადსხვა კათედრაზე ასევე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. სკოლის პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას და იკრიბებიან გეგმის

შესაბამისად.

შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დოკუმენტის თანახმად კადრების მოტივაცია წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარების სტრუქტურის ელემენტს. ამავე მექანიზმის მე-13 მუხლი მოტივაციის ამაღლების ფორმად განსაზღვრავს წახალისებას. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, თანამშრომელთა წახალისების ფორმებია:

ა) დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება;

ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ფულადი პრემიის გაცემა;

ე) ფულადი ჯილდოს გაცემა;

ვ) დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

ვინაიდან დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში არ გამოიყენება წახალისების ფორმები, სკოლას მიეცა რჩევა შინაგანაწესიდან ამოიღოს დისიციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა წახალისების ფორმებიდან. გარდა ამისა, მასწავლებლის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა წარმოადგენს დისციპლინური კომიტეტის პრეროგატივას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის" შესაბამისად.

როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და სოციალური ქსელის დათვალიერებით დადგინდა, წარმატების გაზიარება ხდება პედაგოგთა და კათედრების შეხვედრებზე, ასევე სოციალური ქსელი მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;

- სტრუქტურული სქემა;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- შიდა აქტით დამტკიცებული ,,კანდიდატებისა და დასაქმებულების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა”;ს
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები;
- სკოლის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმატების გაზიარების თაობაზე;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმებით'' განსაზღვრული სტრუქტურული სქემა ითვალისწინებს კადრების შეფასებას, მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებას. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ანალიზის საფუძველზე, რომელშიც დაეხმარება შემდეგი კითხვები:
   - *რას მიაღწიეს თანამშრომლებმა მოცემული ეტაპისთვის;*
   - *რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს;*
   - *რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს თანამშრომლების საქმიანობაზე.*

   ადამიანური რესურსების მართვის მიზნით, მექანიზმები ითვალისწინებს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

   სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების თანახმადაც, ჯგუფის წევრები წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ესწრება მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ***სკოლას მიეცა რჩევა მასწავლებელბისთვის მიცემული უკუკავშირები აწარმოოს წერილობითი ფორმით და ხარისხის მართვის მიზნებისთვის განახორციელოს შედეგების დოკუმენტირება, ასევე უზრუნველყოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობის განახლება.***

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და 3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ***ვინაიდან ხორციელდება პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.***
3. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით დაგეგმილი აქტივობები, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დოკუმენტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა. მე-9 მუხლის 2.3 ქვეპუნქტის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის თანხმობით უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის პედაგოგები აქტიურად ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლების სერტიფიკატები და ცნობები. სკოლას აქვს მასწავლებლების კარიერული ზრდის პრაქტიკა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ განხორციელებული პროფესიული საქმიანობის შედეგად, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების უმრავლესობას აქვს წამყვანის მასწავლებლის სტატუსი.

გასული სასწავლო წლის ბოლოს სტატუსი აიმაღლა რუსული ენის მასწავლებელმა, ასევე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა, რომელსაც ჰქონდა მასწავლებლის კვალიფიკაცია, ჩააბარა საგნის გამოცდა და გახდა სპორტის უფროსი მასწავლებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარები მექანიზმები'' ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას. მექნიზმების თანახმად, ადამიანური რესურსების განვითარება ხორციელდება იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, სკოლა ეხმარება მას გაეცნოს სკოლის შიდა წესებს, ქმნის პოზიტიურ და თანამშრომლობით გარემოს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს. ახალ მასწავლებლებს შესაბამისი კათედრის წევრები აცნობენ სასკოლო საზოგადოებას, სასკოლო კულტურას, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, კათედრის მუშაობის პრინციპებს. ***სკოლას მიეცა რჩევა, ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი და ეფექტური სოციალიზაციის მიზნებისთვის შეიმუშაოს თანამშრომელთა ადაპტაციის დეტალური წესი.***

დგინდება, რომ 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის თანხმობით უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ პროფესიული განვითარების კუთხით არსებული საჭიროებები, ასევე ინიციატივები, რომლის განხორციელებაც სურთ. ვინაიდან სკოლის ბიუჯეტი არ იძლევა საშუალებას ფინანსურად უზტუნველყოს ინიციატივების მხარდაჭერა, მაქსიმალურად უწყობს ხელს თანამშრომლების ინიციატივის მხარდაჭერას არსებული ადმინისტრაციული რესურსებით. **აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს მმართველობითი პროცესის ნაწილს. დოკუმენტში აღწერილა ხარისხის უზრუნვეყოფის პროცესი და ქვეპროცესები, როგორიცაა: სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. წარმოდგენილი დოკუმენტი არის შაბლონური ვერსია, მასში ასახული რეგულაციები და დებულებები არ არის დამუშავებული და სკოლაზე მორგებული. მაგალითად ნახსენებია ხარისხის მართვის სამსახური/ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლაში არ არსებობს, ღიად არის დატოვებული მმართველობითი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავების ვადები. ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი დაამუშაოს და მოარგოს სკოლას.***
შესაბამისად, 3.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, საქმისწარმოების წესი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და ერთწლიანი საქმოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის მექანიზმი, შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და გააზრებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგდ, ***სკოლას მიეცა რჩევა ცვლილებების შეტანის გზით დახვეწოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დასარეგულირებლად დამტკიცებული სხვადასხვა დოკუმენტაცია, იმისათვის რომ უზრუნვეყოფილი იყოს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა.*** **შესაბამისად, 3.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლამ წარმოადგინა შიდა აქტით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც აღწერილია როგორ ხდება განცხადებისა და საჩივრის მიღება, დასაშვებად ცნობა, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და გაცნობა. გასაჩივრების პროცედურები არის დეტალური და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად აღსაქმელი. მოსწავლის მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია გასაჩივრების უფლების რეალიზების შესახებ. **შესაბამისად, 3.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდაა განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები. ასევე, სასკოლო საზოგადოების უფლებები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისიცპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები ასევე გაწერილია სკოლის მიერ დამტკიცებულ ,,მშობელთან ურთიერთობის დებულებაში''.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლითაც კომუნიკაციას ამყარებს მშობლებთან დამრიგებლებისა და მასწავლებლების მეშვეობით. დამრიგებლები მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებენ მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც სკოლა აქვეყნებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ინფორმაციას კონკურსებისა და ოლიმპიადების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაციას. სკოლა აქვს აქტიური სოციალური ქსელი და მოქმედი ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე, რომელსაც, როგორც დირექციამ აღნიშნა, აქტიურად გამოიყენებს ინფორმირებისთვის. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს. ინფორმაციის პედაგოგებისათვის გაზიარება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება კათედრების სხდომებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სოცილაური ქსელის ჯგუფებში. **შესაბამისად, 3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რიღაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგდოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის წევრობით. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. პედაგოგიური საბჭო მასწავლებლების ჩართულობით იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საბჭოს კომპეტენციაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებთ. სასკოლო საზოგადოება მონაწილეობას იღებს სამეურვეო საბჭოს არჩევნებში, მოსწავლეები აირჩევიან და ირჩევენ მოსწავლეთა თვითმმართველობებს.

   სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქუტურული ერთეულების ოქმები.
- სკოლის მიერ დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერიმეტრი შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს 2 დარაჯი ღამის საათებში, ხოლო დღისით შემოსასვლელ კარს აკონტროლებს პირველი სართულის მორიგე დამლაგებელი. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელსაც აქვს სპეციალური გადამზადება და შესაბამისი სერტიფიკატი. აღნიშნული პირი აღჭურვილია მეტალოდეტექტორით. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, თუმცა შიდა პერიმეტრზე არ არის განთავსებული ვიდეოკამერები.

   სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების" მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის მიერ გასატარებელი

ღონისძიებები. დოკუმენტში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ რგოლად მოიაზრება მანდატური, რომელიც სკოლას არ ჰყავს. *შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირებიდან მანდატურის ამოშლა და დოკუმენტის ტექნიკურად გამართვა.*

შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. **სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე არ აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ. სკოლას არ ჰქონდა შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**
სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).
სკოლაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი და სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ექთნის შტატი, თუმცა ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰყავს დასაქმებული ექთანი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გამოცხადა კონკურსი დასაქმების ვებ-გვერდზე განაცხადის განთავსებით. როგორც დათვალიერებით დადგინდა, სამედიცინო კაბინეტში არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სრული აღჭურვილობა და მედიკამენტები. დირექციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ სამედიცინო პერსონალის დასაქმების დროისთვის განხორციელდება სამედიცინო კაბინეტის ყველა ინვენტარითა და მედიკამენტით აღჭურვა.
სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. *შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.*

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 08.11.2023-30.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ თანდართული დოკუმეტის სახით წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი, რომლითაც დასტურდება საგანგებო მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმება.

2. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნულ პირს გავლილი აქვს გადამზადება და კომპეტენცია უდასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. ასევე, სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს. ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერბაზე უფლებამოსილი პირი აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას და შემოწმების განსახორციელებლად უფლებამოსილ პირს გადაცემული აქვს მეტალოდეტექტორი. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები, განსაზღვრულია სართულებზე მასწავლებელბის მორიგეობის განრიგი. სკოლას დამტკიცებულია აქვს სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვის მარეგულირებელი წესი და განსაზღვრული ჰყავს თამბქაოს მოხმარების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოაკრული სახალხო დამცველის, 112-ის, პასუხისმგებელი პირების და უწყებების ტელეფონის ნომრები.

როგორც დადგინდა, სკოლაში ბრძანებით არ არის შექმნილი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით უფლებამოსილებებს არ ახორციელებს მრჩეველთა საბჭო. შესაბამისად, არ ხორციელდება საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის კუთხით აუცილებელი საკითხების განხილვა, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისათვის წარდგენა, საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.11.2023-15.07.2024. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა ბრძანება მრჩეველთა საბჭოს არსებობის შესახებ (ცვლილება), არ არის წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ოქმები, სადაც განხილული იქნებოდა რეკომენდაციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

3. როგორც სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხევაში. კერძოდ, სკოლაში ხორციელდება პროექტები ბულინგის, კიბერბულინგის, ოჯხში ძალადობის,

ნაადრევი ქორწინების პრევენციის და ფსიქო-ემოციური მდგრადობის სხვადასხვა მიმართულებებით. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს რეგულაციებს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის მიერ გასატარებელ საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებსა და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების პირობებს. სკოლაში გამოკრულია ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პლაკატები და მოსწავლეთა ნამუშევრები, სკოლა აწარმოებს კამპანიას ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრული ჰყავს რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას ურუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარულ-ჰიგიენური რესურსების გამოყენებით. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა'' ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს, კერძოდ, ყოველდღიურ და ყოველკვირეულ დასუფთავება-დალაგების მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალებისთვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). გასახდელებთან განთავსებულია საშხაპე. სკოლაში წყალმომარაგება არ ხორციელდება ცენტრალიზებული სისტემით, შესაბამისად სკოლის ეზოში მოწყობილია ტექნიკური წყლის რეზერვუარი. წყალი მოედინება ონკანებში, თუმცა სასკოლოს საზოგადოება ინფორმირებულია, რომ ონკანიდან მომდინარე წყალი არ გამოიყენება სასმელად. ***სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს სასმელი წყლის რეზერვუარის განთავსება და სასკოლო საზოგადოების სასმელი წყლით მომარაგება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის N40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინის შესაბამისად ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა სკოლაში''. ასევე, უზრუნველყოს ამავე გაიდლანით დადგენილი წესითა და პერიოდულობით წყლის ავზის დეზინფექცია-დასუფთავება.*** **აღნიშნულიდან გამომდინარე. 3.4.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'', რომელშიც გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების არსი, მონაცემების დამმუშავებელი სუბიექტი, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის ვალდებულება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია თუ რა ინფორმაციის დამუშავებაზე აცხადებს

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას. **თანამშრომლების ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ ხელშეკრულებები არ შეიცავს თანამშრომლების თანხმობას განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. სკოლას არ აქვს თანამშრომლების არც წერილობითი თანხმობა ზემოთ ხსენებული მონაცემების დამუშავებაზე.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-15.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

6. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'' ადგენს, რომ სკოლა, მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან უზრუნველყოფს სათანადო ზომების მიღებით. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახლისა და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის თანამშრომელი, რომელსაც აქვს წვდომა სკოლაში დაცულ პერსონალურ მონაცემებსზე, ვალდებულია უზრუნველყოს პაროლების პერიოდული თვეში ერთხელ ცვლილება, გამოიყენოს რთული პაროლები და არ გამოიყენოს ერთი და იგივე პაროლი სხვადასხვა ელექტრონული სისტემებისათვის, სასწავლო პროცესის მიზნებისათვის ისარგებლოს მხოლოდ ოფიციალური ელექტრონული რესურსებით და არ გამოიყენოს სხვადასხვა სოციალური პლატფორმები. აღნიშნული წესების დარღვევა კი წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც იკეტება გასაღებით და ინახება უფლებამოსილ პირთან. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცულობას. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორი 3.4.1(6) დაკმაყოფილებულია.**
7. ***ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
- ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა";
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2022 წელს დასრულდა სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და განხორციელდა სრულიად ახალი შენობის მშენებლობა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გვერდზე ამონაწერის გადამოწმებისას დადგინდა, რომ საკადასტრო კოდზე - 32.03.48.119, რეგისტრირებულია სახელმწიფოსგან სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული 10760 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (N01/2, N02/1, N03/, N04/1, N05/1) საერთო ფართით 2447.92. აღნიშნულ საკადასტრო კოდზე არსებული შენობა-ნაგებობები აღარ არსებობს, რადაგან განხორციელდა მათი დემონტაჟი და ახალი შენობის მშენებლობა. ხოლო ახალი შენობა, რომელსაც მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი 32.03.48.152 - არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. როგორც სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, სკოლის სახელით განაცხადი გაკეთდა ახალი შენობის რეგისტრაციაზე, თუმცა, ვინაიდან საკადასტრო გეგმაზე არ იყო დატანილი სპორტული მოედანი, წარმოება შეწყდა სკოლის განცხადებითვე. შესაბამისად, დგინდება, რომ **ახალი საკადასტრო გეგმისა და შიდა აზომვითი ნახაზების შესაბამისად, სკოლის ახალი შენობა დასარეგისტრირებელია საჯარო რეესტრში. გარდა ამისა, სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა ახლი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.**
სკოლის შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობა შედგება 2 სართულისგან და აქვს ეზო. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. შენობაში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), სამედიცინო კაბინეტი, სამეურნეო სათავსოები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სივრცე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი გასახდელებით და საშხაპეებით (გოგონების და ვაჟების ცალ-ცალკე). ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები, გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, მათ შორის არის ადაპტირებული საპირფარეშები. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით

და სკამით. სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად და ლიფტი ორივე სართულზე წვდომისთვის. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით და კარადებით. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, თუმცა აქვს დიდი ფოიე, რომელსაც იყენებს სხვადსხვა ღონისძიებებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი სავენტილაციო სისტემა, თუმცა არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა, რომლის გარეშეც აკრძალულია გარკვეული ცდების ჩატარება. ლაბორატორია არ არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით.

სკოლის ინვენტარიზაციის მასალებით დადგინდა, რომ ბალანსზე არსებული რაოდენობა შეადგენს 150 ერთეული მერხს. სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 240 მოსწავლეზე. შესაბამისად, დგინდება, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროისთვის სკოლა მზაობას აცხადებს იმდენ მოსწალეზე რამდენი მერხიც ერიცხება ბალანსზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.11.2023-30.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა 2022 წლის 18 აგვისტოს შედგენილი მიღება ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასრულებული სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩაბარების ფაქტი.

2. როგორც მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორს და სხვა რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სკოლაში ჩატარებული აქტივობებითაც. სკოლის რესურსოთახში არსებული რესურსებით სარგებლობენ სსსმ მოსწავლეები. აქვს კეთილმოწყობილი სამასწავლებლო, სადაც შექმნილია მასწავლებლებისთვის კომფორტულად სამუშაო პირობები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.11.2023-20.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე, აქვს პანდუსი და ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის

ყველა რესურსით სარგებლობას (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ლაბორატორიის სივრცე, ეზო, საერთო სარგებლობის სივრცეები). **შესაბამისად, 3.5.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ღინისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სკოლის ფოიეს. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ ეზოში დაისვენონ. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და სოციალური კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
შესაბამისად, 3.5.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლა მოსწავლეებს პირველი კლასიდან გადასცემს პორტაბელურ კომპიუტერებს. საგანმანათლებლო რესურსებად სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც გადაცემული აქვს მოსწავლეებისათვის უსასყიდლოდ, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. სკოლას აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებიც, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლის ინვენტარიზაციის მასალებით და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს კომიუტერული რესურსი, პრინტერები და პროექტორები.
სკოლაში არსებული წიგნადი ფონდი შედგება მოძველებული სასკოლო სახელმძღვანელოებისგან და თითქმის არ არის წარმოდგენილი საკითხავი ლიტერატურა (წარმოდგენილია მცირე რაოდენობით ენციკლოპედიები). ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და გამდიდრება.***
სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, შესაბამისად, 3.5.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შედგება 9 პერსონალური კომპიუტერისგან და 1 ლეპტოპისგან, მათ შორისაა ადმინისტრაციის სარგებლობაში არსებული კომპიუტერებიც. სკოლას აქვს 4 პროექტორი და 4 პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. ყველა საკლასო ოთახში და ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია ინტერნეტის კაბელის შესაერთებელი ჩამრთველი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. როგორც მოსწავლეთა ბაზის შესწავლით დადგინდა, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 10 მოსწავლეს და I-IV კლასის მოსწავლეები არჭურვილნი არიან პერსონალური კომპიუტერებით. შესაბამისად, სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს კომპიუტერული რესურსის განახლება და გამდიდრება.***

დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და 3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის დირექციასთან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. მასწავლებლები სკოლის პროექტორს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსაწავლეებსა და მასწავლებლებს. გარდა ამისა, I-IV კლასის მოსწავლეები პორტაბელურ კომპიუტერებს იყენებენ სასწავლო პროცეში. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული კლასგარეშე აქტივობებითაც. ***სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობა.***

შესაბამისად, დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და 3.6.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობის აქტი;
- განხორციელებული პროექტები და ჩატარებული ღონისძიებები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი და ჰყავს საქმისმწარმოებელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქმისმწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქმისწარმოების გამართულად მუშაობა, აწარმოოს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვა და რეგისტრაცია, უზრუნველყოს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყოს შემოსული კორესპოდენციის განხილვა და ადრესატისთვის მისი წარდგენა, უზრუნველყოს სკოლის დირექტორის ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებებისა და გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადება და სხვა. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოების წესში აღწერილია თუ რა ტიპის დოკუმენტების წარმოება ხორციელდება სკოლაში და როგორ ხდება მათი გაფორმება.

   ვინაიდან სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, 3.6.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებითა და ელექტრონული ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).

   სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

   გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, **შესაბამისად, 3.6.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია და შევსებულია აუცილებელი ველები. **შესაბამისად, 3.6.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაიბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმინობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა). **შესაბამიად, 3.6.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის დეკემბრის ოქმი ანგარიშის წარდგენაზე;
- სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი. გარდა ამისა, სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სასკოლო აქტივობების შესახებ სკოლა ასევე ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს etaloni.ge-ს გვერდის მეშვეობით, დამრიგებლების მეშვეობით, teams-ის პლატფორმის, მესენჯერ ჯგუფების, მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების მეშვეობით, მშობლეთა კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად. ***სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რაც უფრო მოქნილს გახდის სკოლასა და სასკოლო საზოგადოებას შორის კომუნიკაციას და მათგან უკუკავშირის მიღებას.*** **ვინაიდან სკოლას ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით, შესაბამისად, 3.6.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაია, რომელიც განთავსდება სოციალურ ქსელში, etaloni.ge-ზე და ვრცელდება დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის დირექცია აკონტროლებს სანდო ინფორმაციის გავრცელებას. **შესაბამისად, 3.6.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის საკომუნიკაციო არხებს წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადსხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, სადაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის დირექტორთან, მუშავდება და ხდება შემდგომი რეაგირება. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გამოკითხვა აწარმოოს ანონიმური კითხვარების მეშვეობით და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით შეიმუშაოს სერვისის გაუმჯობესების გეგმა.***
აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.6.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი, რომელზეც სკოლის ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას და მიმდინარეობს ინფორმაციის შევსება სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლისა და დირექციის მიერ. **შესაბამისად, 3.6.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
   სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: დეტალური სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 19.10.2023-30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/890?schoolName
- სკოლის სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/profile.php?id=100006373088602

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და მცირე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ და საოფისე ხარჯეზე. დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ დეკემბრის ბოლომდე, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმები საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე ვაუჩერისა და სხვადასხვა მიზნობრივი დაფინანსების ჩარიცხვის შემთხვევაში. სკოლას განემარტა, რომ სკოლის ყოველი შემოსავალი და ხარჯი უნდა აისახოს სკოლის ბიუჯეტში და უნდა დაზუსტდეს ფაქტობრივი ჩარიცხვების მიხედვით.

   სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შესყიდვების განხორციელების შიდა წესი, რომლის შესაბამისადაც უნდა განახორციელოს წლიური შესყიდვები. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დირექტორის მიერ გამოცემული შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილების შიდა ბრძანებები (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები). **სკოლას ასევე არ ჰქონდა გაწერილი საპროგნოზო ბიუჯეტი მომდევნო თვეებზე. სკოლას არ აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.7.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-15.11.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების წლიური გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე;
- სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა, მშობელთან კომუნიკაციის დებულება, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, საჩივრების განხილვის წეს, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, ღონისძიებებით რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვას. სკოლას გამოკრული ჰქონდა მოსწავლეების უფლებების დაცვის მექანიზმები. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებში გაწერილია პესონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე მშობლის თანხმობა. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას ახორციელებენ შესაბამისი სქესის მანდატურები მეტალოდეტექტორების მეშვეობით. **შესაბამისად, 4.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების'' თანახმად, სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებული არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის

მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მასწავლებლების მორიგეობის განრიგი. **შესაბამისად, 4.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, აგრეთვე სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის N103/ნ ბრძანებით დადგენილი წესით. **შესაბამისად, 4.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებულია აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა პირველ კლასში მიღების პროცედურა, მობილობის წესი, სხვადასხვა კლასებში ჩარიცხვის წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის წინაპირობები. აღნიშნული პროცედურა არის გამჭვირვალე, მკაფიო და ეფუძნება კნონმდებლობას, **შესაბამისად, 4.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახორციელებს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. ბრძანებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ჩარიცხვა, ამორიცხვა, მობილობა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმების შესაბამისად.
   შესაბამისად, 4.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. სკოლას ინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად იყენებს დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში. მე-4 კლასის ბოლოს მშობლები ირჩევენ მეორე უცხოურ ენას, საშუალო საფეხურზე არჩევით საგნებს და პროექტებს. **შესაბამისად, 4.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია დირექცია. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში,

სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით. **შესაბამისად, 4.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის დაძლევის ამსახველი ბრძანებები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი აწყობს საზეიმო მიღებას, იგეგმება ღონისძიებები და ექსკურსიები. სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა, ხოლო ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში - სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები. სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით დეტალურად განსახორციელებელი პროცედურები სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით.
   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.11.2023-30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით დეტალურად განსახორციელებელი პროცედურების შემუშავება/დამტკიცება.
2. როგორც სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც ხელს შეუწყობს მათ დამეგობრებას და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. დამრიგებლები დიდ ყურადღებას უთობენ ახალად ჩარცხული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესს და აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლის მშობელთან. სკოლას ერიცხება 2 სსსმ მოსწავლე და აქვს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული გარემო. ადაპტაციის პროცესში აქტიურად იღებს მონაწილეობას სპეციალური მასწავლებელი. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებით მუშაობის წარმატებული გამოცდილება. **შესაბამისად, 4.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ვალდებულებას დამატებითი მეცადინეობების ჩატარებით თაობაზე იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ სწავლაში ჩამორჩენა და საჭიროებენ დახმარებას. სკოლა გამოცდების წინ მოსწავლეებს უტარებს საკონსულტაციო შეხვედრებს და ამეორებინებს საგამოცდო მასალას. **ადმინისტრაციასთან და მასწავლელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად და 4.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი, ასევე გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. **შესაბამისად, 4.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გამწვანების აქციები, შეჯიბრებები და სხვა. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. აღნიშნული დასტურდება სკოლის სოციალური გვერდის დათვალიერებით, სადაც წარმოდგენილია სკოლაში ჩატარებული აქტივობები და ღონისძიებები, როგროიცაა: ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პროექტი ,,ეზოს გამწვანება'', რომელშიც ჩართული იყვნენ მშობლებიც, 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი ,,მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს", 2 აპრილს აუტიზმის ცნობიერების ამაღლებისათვის მოსწავლეებმა შექმნეს კედლის გაზეთი და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს ჭიდაობის უფასო წრე, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ ინფორმაცი გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. **შესაბამისად, 4.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. მასწავლებლებთან

გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ინტერების გათვალისწინებით და მათი/მშობლების უკუკავშირის საფუძველზე ფუნქციონირებს უფასო წრეები. **შესაბამისად, 4.2.1(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სოციალური ქსელის დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებთან მართავენ შეხვედრებს მომავალ პროფესიებთან დაკავშირებით. იმართება შეხვედრები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შერჩევისათვის. როგორც გასაუბრებით დადგინა, ისინი მოსწავლეებისგან ისმენენ ინფრომაციას ინტერესების სფეროების შესახებ და შემდგომ ითვალისწინებენ სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლაში იმართება შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. ***სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების პროგრამა გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში ან***

სადამრიგებლო პროგრამაში, კლასების, თემატიკის, პასუხისმგებელი პირებისა და განსახორციელებელი აქტივობების მითითებით, რითაც უფრო მკაფიოს გახდის მომსახურების პირობებსა და ხელმისაწვდომობას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 4.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებაზე განაცხადა, რომ ცდილობს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია არსებული პროფესიული თუ უმაღლესი განათლების შესახებ, რასაც ახორციელებს დამრიგებლების მეშვეობით. სკოლის კრსდამთავრებულები დამამათავრებელი კლასების მოსწავლეებს უზიარებენ გამოცდილებას პროფესიის არჩევის მიმართულებით. გარდა ამისა, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლებლების შესახებ, სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე თუ eflow-ს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას ავრცელებს საბაზო-საშუალო საფეხურის კლასებში. სკოლამ წარმოადგინა მიღებულია წერილია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის "კონსტრუქტ2"-ის მიერ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების თაობაზე, რომელიც მიიღო 2023 წლის ივნისში. კოლეჯ ,,კონსტრუქ2''-ის წერილი გაეცნო მოსწავლეებსა და მშობლებს, გახორციელდა პროფესიული პროგრამის გაცნობა. **შესაბამისად, 4.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც დაგეგმავს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სერვისის გაუმჯობესებასა და დახვეწას. შესაბამისად, **4.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კოლეჯ ,,კონსტრუქტ2''-ის წერილი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების სერვისებთან დაკავშირებით და სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულიად ადაპტირებულია და მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე, ასევე სკოლას გააჩნია სათანადო სასწავლო რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე ირიცხებოდა 3 სსსმ მოსწავლე. სკოლის სპეციალური მასწალებელი საქმიანობას ახორციელებს წინასწარ გაწერილი სამოქმედო გეგმით. სკოლას ასევე აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სსსმ მოსწავლეებისთვის, რომელთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცება ხორციელდება სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში იდენტიფიცირების შემთხვევაში - იდენტიფიცირებიდან 1 თვის ვადაში. სკოლა ფლობდა ინფორმაციას სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურებთან დაკავშირებით. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმების შესახებ და ***მიეცა რჩევა ყველა საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგემა, შესაბამისობაში მოიყვანოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ფორმებთან.*** **შესაბამისად, 4.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულის სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ისგ ჯგუფის კოორდინატორის მიერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წლის ბოლოს წარმოდგენილ იქნა ანგარიში. **შესაბამისად, 4.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია, რომ სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს წრეებს, როგორიცაა ქართული ხალხური ცეკვისა და მუსიკის ფასიანი წრეები, ასევე ჭიდაობის უფასო წრე. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. ვიზიტის ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებდა მხოლოდ ჭიდაობის უფასო წრე. ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული წრის***

მომსახურების ფრაგლებში, მშობლებთან და წრის მასწავლებელთან ხელშეკრულებების გაფორმება მომსახურების გაწევის თაობაზე. გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ფლობს ინფორმაციას იჯარის ფორმით ფართის სარგებლობის უფლებით გაცემისთვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას ფართი არ ჰქონდა იჯარის ფორმით გაცემული, ვინაიდან არ იდგა აღნიშნული საჭიროება. სკოლა ასევე ახორციელებს სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სატენდერო მომსახურების ფარგლებში. **შესაბამისად, 4.2.4(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ჭიდაობის წრის ფარგლებში ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს. შეთავაზებული მომსახურება კი ხელს უწყობს მოსწავლის განვითრებას. რაც შეეხება იჯარის ფორმით ფართის სარგებლობას, ვინაიდან მსგავსი უფლებით სკოლას ფართი არ ჰქონდა გაცემული, დოკუმენტაცია არ იყო ნაწარმოები და ვერ შეფასდა აღნიშნული პროცესი. რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას, აღნიშნული მომსახურებაც ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც გადაადგილდებიან შორი მანძილიდან და საჭიროებენ მსგავს მომსახურებას. **შესაბამისად, 4.2.4(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა, მოსწავლეთა ტრანსპორტირების სერვისის მიწოდებისას მონიტორინგს უწევს აღნიშნულ პროცესს, უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ხელმოწერით ადასტურებს ტრანსპორტირების პროცესის ჯეროვნად განხორციელებას (ტაბელს) და ინფორმაციას აწვდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. სკოლის მიერ დამატებითი მომსახურების სახით შეთავაზებული ჭიდაობის წრის ფუნქციონირებისას სკოლა ასევე იცავს უსაფრთხოების ნორმებს, რასაც ადასტურებს გასაუბრებით. **შესაბამისად, 4.2.4(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სატრანსპორტო მომსახურების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსების, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალიწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რისი თქმის საშუალებასაც გვაძლევს ინტერვიუების დროს ჩანიშნული მიგნებები. ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ საგნობრივ მასწავლებელებსა და კათედრებს შორის ურთიერთანამშრომლობის პრინციპი დაცულია. პედაგოგები ასევე აქტიურად თანაშრომლობენ ადმინისტრაციასთან. ამასთან ერთად ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგემა სასკოლო პროცესზე დაკვირვების პროცესში გამოკვეთეს მოსწავლეების მზაობა, ინტერესი და შესაძლებლობები, რომელსაც დაეყრდნო სამომავლო წლის კურიკულუმით გათვლიწინებული შუალედური მიზნები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ კათედრის სხდომებზე, რასაც მოწმობს კათედრის ოქმები. კომპლექსური დავალების შერჩევისას ითვალისწინებენ კლასის მზაობას და რესურსების ხელმისაწვდომობას. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ფუნქციები და განაწილებულია პასუხისმგებლობების სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის დაგეგმვაში სკოლა ცდილობს მშობელთა ჩართვას სხვადასხვა

შესაძლებლობებით, მასწავლებლები მშობლებთან ურთიერთობენ სოციალური ქსელის მეშვეობით და, ასევე, აწარმოებენ პირად შეხვედრებს, სადაც აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ინტერესის სფეროებზე. **შესაბამისად, 2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს. ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ დაწყებით საფეხურზე იგეგმება საინფორმაციო ბარათების შექმნა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მასწავლებლის სამოქმედო პროგრამა და ვებ გვერდის მისამართი, სადაც განთავსებული იქნება საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და სხვა. **2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, საინტერესო მამოტივირებელი დავალებები (პრეზენტაცია კლასის წინაშე,მოთხრობის გაგრძელება,წერილი ადამიანს..) კონტექსტ მაგალითები და რესურსები (ტექსტები, ფილმები და სხვა ელექტრონული რესურსები). შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ***სკოლას მიეცა რჩევა სახელმწიფო ენის კათედრამ დააკონკრეტოს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შესაბამისი ცნებება და ქვეცნება.*** **მათემატიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია თემები შესაბამისი ქვესაკითხებით. დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელება. ინტერვის დროს აღნიშნეს, რომ სჭირდებათ მეტი მუშაობა და გაძლიერება. ***სკოლას მიეცა რჩევა წარმოდგენილი კურიკულუმების ნიმუშის მიხედვით მათემატიკაში შეიმუშაოს და დახვეწონ კურიკულუმები მე-2 და მე-3 კლასისთვის.*** **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის ჩარჩო ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, კურიკულუმბში ასახული იყო საგნობრივი ცნებები და ნაწილობრივ დაცული იყო პრინციპი, რომ ყველა სამიზნე ცნება უნდა მუშავდებოდეს ყველა საგნობრივ თემაში. **„ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების“** პედაგოგებს ჰქონდათ ხედვა, თუ რომელ საკითხთან მიმართებით ემუშავათ, რომელი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები დაემუშავებინათ. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი იყო საკითხთა კლასტერები და კონტექსტ-მაგალითები, რომელზე დაყრდნობითაც მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს შუალედური მიზნების განხორციელებას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურიკულუმების შემუშავებისა და გახორციელებისას პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. დავალებების ანალიზური რუბრიკები, რომლებიც ეხმარება პედაგოგს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს ყველა საგნობრივ თემაში.*** **კომპიუტერულ ტექნოლოგიებში** წარმოდგენილი კურიკულუმები (მე-2, მე-3 და მე-4, მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო) ძირითადად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოჩნდა, რომ სკოლას აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ესთეტიკური აღზრდა მიმართულებით სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას,

თუმცა, III კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკებში „ადამიანი და ხელოვნება" არ არის დამუშავებული სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება თუმცა სკოლაში არის მზაობა. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების კურიკულუმები შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ***სკოლას მიეცა რჩევა ფიზიკური აღზრდის I-IV კლასების კურიკულუმებში თეორიულ ნაწილში მასწავლებლებმა შესთავაზონ მოსწავლეებს მრავალფეროვანი თემები და საკითხები, ხოლო V-VI კლასების კურიკულუმებში დაიგეგმოს თემა "მავნე ჩვევების პრევენცია (თამბაქო, ალქოჰოლი, ნარკოტიკი)".*** **2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგს ნაწილობრივ აქვს გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები. პედაგოგს არ აქვს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისა, თუმცა კოლეგები ერთობლივად მუშაობენ მის არსში წვდომისთვის. ***სკოლას მიეცა რჩევა ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით III კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკი „ადამიანი და ხელოვნება" ჩასწორდეს ისე,რომ დამუშავდეს სტანდარტით გათვალიწინებული ოთხივე სამიზე ცნება. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კათედრამ სასწავლო კურიკულუმის სრულყოფისთვის ფუნქციურ-კომპონეტური უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურიკულუმში გაწეროს ის მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები, რომელიც მათი აზრით დაეხმარება აღნიშნული მიმართულბების განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის მიმართულებით კათედრამ I-II კლასების კურიკულუმებში თეორიული საკითხების ძირითად კონტექსტ-მაგალითებში დაგეგმოს, მაგალითად, ბუკლეტის ან/და ნახატების მომზადება და სკოლის სივრცეში გამოფენის მოწყობა.*** **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია სასწავლო პროგრამა, რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ

დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. სკოლის მიერ მოწოდებული დომუკმენტაციაში სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას და **შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განმსაზღვრელ შეფასებას იყენებენ შემაჯამებელი დავალებების დროს, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას შემოიფარგლებიან მხოლოდ სიტყვიერი კომენტარებით უშუალოდ განხორციელებული აქტივობის დროს. მასწავლებლებს აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. ასევე საგნის მასწავლებლებთან ჩატარებული ქოუჩინგის დროს შევსებულ საგნობრივი კათედრის ოქმში მითითებულია თუ როგორ მოხდება განმავითარებელი შეფასების წარმოება მომდევნო სასწავლო წელს. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ გადაიხედოს შეფასების რუბრიკები და მომზადდეს ყველა თემისთვის.*** **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. დაწყებით საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკითხება შემდეგი, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია, შესაბამისად. **2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- შეფასების რუბრიკები;

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში კომპლექსური დავალებების, სხვადასხვა საინტერესო აქტივობების

განხორციელება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. ისინი სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს, რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას, არამედ მაღალი საზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, შემდგი წლის კურიკულუმში წარმოადგინოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას პროექტებზე, და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორცილებული აღნიშნული ინტერვენციები.*** **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებს გაცნობირებული აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პრინციპები და სტრუქტურა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღწერეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. კონკრეტული საკითხის განხილვის დროს, მათ შემოგვთავაზეს მოდელირება, თუ როგორ წარმათავდნენ გაკვეთილს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა გაიხსენეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თუ რა გზებით ცდილობდნენ საკითხის განხილვის დროს მოსწავლეები ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით მიეყვანათ ახალ ცოდნამდე. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაცულია სწავლის-სწავლის პრინციპი, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს გაიხსენეს კონკრეტული კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას თუ რა სტარტეგიებს იყენებდნენ აღნიშნული მიმართულებით მოსწავლეებს ეხმარებოდა დიდი ინფორმაციის მარტივად წარმოდგენასა და გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს ასევე ყურადღება გაამახვილეს, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობიასას აქტიურად ხდება მოსწავლეების მხრიდან თვითრეფლექსიის გააქტიურება. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს დაწყებით საფეხურზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. კურიკულუმებსა და მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულზე. პედაგოგების მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ინტერვიუბის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პრინციპი გამოკვეთილია შუალედურ მიზნებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა გაიხსენეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა და განსაზღრეს ცოდნის სამ კატეგორიას შორის განსხვავება. გამოიკვეთა,

რომ პედაგოგებები აღნიშნული კითხვების გამოყენებით მოსწავლეებს ეხმარებოდნენ როგორც ფაქტობრივი ცოდნის შემეცნებაში, ასევე ცოდნის გააზრებასა და განზოგადებაში. კრიტერიუმი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული ინტეგრირებული (ინტეგრირება სხვადასხვა საგნებთან: მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ქართული ენა ლიტერატურა) და სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესახებ (კათედრა გეგმავს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში პროექტის განხორციელებას). **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- კომპლექსური დავალების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. ***სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა: სახელმწიფო ენაში დააკონკრეტოს შესასწავლად გამოკვეთილი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი სამიზნე ცნებება/ქვეცნება. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კურიკულუმებში დააკონკრეტოს სამიზნე ცნებები, რომელზიც დამუშავდება სხვადასხვა თემაში საგან "ჩვენი საქართველოსა" და „მე და საზოგადოებაში" რადგან დაცული იყოს პრონციპი, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმდგავარდ მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება.*** **შესაბამისად, 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. პედაგოგებთან ინტერვიუს და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლებისას სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, იმართება მინი დისკუსიები, განიხილავენ პრობლემას სხვდასხვა კუთხიდან. მათ ნარატივს ადასტურებს კლასის საათისათვს შერჩეული თემატიკა, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და დავალებები და ინტერვიუს დროს დასახელებული ღონისძიებები. კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მეთოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუბისას გამოიკვეთა, რომ

სასწავლო პროცესი ემსახურება მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებასა და მათ მხარდაჭერას, მოსწავლეთა მზაობის, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვლისწინებით. პედაგოგების მიერ ერთ-ერთი საგაკვეთილო პროცესის აღწერამ აჩვენა, რომ საგაკვეთილო პროცესი ნაკლებად ხასიათდება ფრონტალურობით და პედაგოგები წარმოადგენენ ფასილიტატორებს, რომლებიც დახმარებას უწევენ მოსწავლეებს შესაბამისი რეკომენდაციების მიცემით შეძლონ გაიმჯობესონ შედეგები და განვითარომ სხვადასხვა კომპეტენციები. ***სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკის კათედრამ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად დახვეწოს კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე.*** **შესაბამისად, 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი, გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. ინტერვიუების დროს ასევე პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ მოსწავლეებს განემარტებათ მათ მიერ მიღებული შეფასების არსი და ის პროცედურები, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებმა გამოიყენონ ნაშრომის შეფასების ობიექტურობაში დასარწმუნებლად. კრიტერიუმი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სიტყვიერი კომენტარები მიმართულია წახალისება-დაზუსტება-რჩევის მიცემისკენ. შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ხშირად რთავენ მოსწავლეებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. მომავალში შეფასების სანდოობისა და სამართლიანობის გაზრდის მიზნით აპირებენ მათ გაზიარებას მშობლებთან. რუბრიკების შექმნის პროცესში გაზრდიან მოსწავლეთა ჩართვის ხარისხსაც. სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული 2023-2024 წლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით სკოლა განახორციელებს ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ ეტაპამდე მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს სკოლა ახდენდა შემაჯამებელი დავალებების საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს კიდევ უფრო მედტად დახვეწენ. მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ სკოლის პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს და ურთიერთანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით უზიარებენ სასკოლო საზოგადოებას, გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს პოტენციალი აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯები გადადგას. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში. **შესაბამისად, 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები;
- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როგორც საგნობრივი კათედრების, ასევე კათედრებს შორის არის თანამშრომლობითი გარემო. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილის დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ცენტრალური ადგილი უკავია მოსწავლეებს და პროცესი ორიენიტირებულია მათ აკადემიურ პროგრესსა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. პედაგოგებმა განმარტეს, რომ ხდება მოსწავლეების საჭიროებების დადგენა, რისთვისაც იყენებენ სასწავლო პროცესზე დაკვირვებას,

რომლის შემდეგაც ხდება მოსწავლეების ინტერესების, მზაობისა და შესაძლებლობების განსაზღრა, რომელსაც შემდგომში ეფუძნება სასწავლო პროცესი. ხდება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის, ერთმანეთზე ზრუნვის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბება. სასაწვლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწვლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. თანამშრომლობითი კულტურა სკოლაში კარგადაა განვითარებული, პედაგოგები ურთიერთანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით ცდილობენ სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას. აღნიშნულს მოწმობს, კათედრებს შორის თანამშრომლობა და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. პედაგოგები ერთმანეთთან კომუნიკაციით ქმნიან სასწავლო კურიკულუმებს. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და ერთად გეგმავენ შემდეგ წელს განსახორციელებელ აქტივობებს. პედაგოგები სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებენ შემდეგი წლის რესურსებსა და მუშაობენ შუალედური მიზნების დახვეწაზე. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად ესწრებიან ერთმანათს საგაკვეთილო პროცესზე. შესაბამისად **2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, რის მაგალითსაც წარმოადგენს სკოლის ბაზაზე - კათედრის გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობა (ინტეგრირებული გაკვეთილები), კლასის ბაზაზე კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლისთვის საინტერესო, სახალისო კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულები არიან როგორც მასწავლებლები ასევე დირექცია, ასევე კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. შესაბამისად.**2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასწავლო კურიკულუმის მოდიფიცირებასა და მონიტორინგს, კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დაწყებითი კლასის მასწავლებლები. დაწყებით საფეხურზე მოქმედებს "კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომელიც აძლევს მასწავლებელს რჩევებს და რეკომენდაციებს. პედაგოგები წარმოადგენენ საკუთარი სამუშაოების რეფლექსიებს, დამრიგებლები-სადამრიგებლო გეგმის ანგარიშებს. კათედრებზე პერიოდულად იმართება შეხვედრები, სადაც ხდება მოსწავლეთა მიღწევებზე ფოკუსირება. **შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა და სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. ამის საშუალებას აგრეთვე იძლევა პროექტული სწავლება, საკლუბო მუშაობა და სხვა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება სკოლაში. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიას და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ყოველდღიური დაკვირვების, კომპლექსური ბუნების დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე, მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა სწავლის პროცესს, ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს სადაც მოსწავლეებს დახმარება სჭირდებათ, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- თვითშეფასების ფორმა.
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება უმეტესწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც სასწავლო პროცესის ერთგვარი უკუკავშირია. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც იკითხება შემდეგი, კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივისტანდარტისა და შეფასების სისტემის

გათვალისწინებით შეიმუშავებენ მოსწავლის შეფასებისათვის შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების მიმართულებებია: პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელი აკვირდება პროფესიული მოსწავლის მუშაობას საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში; შედეგის შეფასება, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ შექმნილი პროექტის, ანალიტიკური ესეს ან სხვა ტიპის აქტივობების ამსახველი მასალის შეფასებას; გამოკითხვა , ძირითადად აკადემიური უნარების(კოგნიტური, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოყენება, როცა საჭიროამოსწავლის ცოდნის, გაგების, მსჯელობის,ანალიზის, დაგეგმვის, სინთეზისა და შეფასების უნარების განსაზღვრა. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს უშლის ან უწყობს ამ პროცესს გავთვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას, რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ირკვევა, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში იქნება საჭირო. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აფასებენ სხვადასხვა ჭრილში, არა მარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორიცაა სხვადასხვა შინაარსის მქონე ღონისძიებები, სპორტული აქტივობები, ოლიმპიადები და კონფერენციები. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. ძირითადად გამოიყენება ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ტესტირებ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ შეფასებისას გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალების შეფასება სხვადასხვა რუბრიკით, უშუალად მოსწალეების მიერ აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული კვლევა და შეფასება სკოლაში ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით. 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. დაწყებითი საფეხურის კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის

გათვალისწინებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება ასევე მასწავლებელები ითვალისწინებენ მოსწავლის ფიზიკურ შესაძლებლობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ინდივიდუალურ თავისებურებებს. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვიტარების მეტოდოლოგია
- შეფასების რუბლიკა
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ურთიერთანამშრომლობისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ითვალისწინებენ წინა სასწავლო წელს არსებულ გამოწვევებსა და აღნიშნულის გათვალიწებით გეგმავენ შემდეგი წლის სასწავლო კურიკულუმებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროებისამებრ და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოდიფიცირდეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომელშიც შეცვლილი შეიძლება იყოს სამიზნე ცნებები და პროდუქტები. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ გეგმავენ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიებისა და მეთოდების მოდიფიცირდებას, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგებმა ყურაღება გაამახვილეს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება დაეყრდნობა მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილებას. პედაგოგები საკუთარ წინარე გამოცდილებას აჯამებენ კათედრების სხდომებზე და ამასთან ერთად აანალიზებენ საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილ მიგნებებს, რომელიც გაზიარებულია ერთმანეთთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორნიგისა და მოდიფიცირების მექანიზმი, რომელიც სამომავლოდ განაპირობებს სკოლის მიერ პროცესის შეფასებასა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრას. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსების, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი

აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე გათვალიწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლება ინტერვიუების დროს ჩანიშნული მიგნებები. ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ საგნობრივ მასწავლებელებსა და კათედრებს შორის ურთიერთანამშრომლობის პრინციპი დაცულია. პედაგოგები ასევე აქტიურად თანაშრომლობენ ადმინისტრაციასთან, იცნობენ სკოლის მისიასა და ხედვას, რომელსაც ეყრდნობა სასწავლო კურიკულუმი, ამასთან ერთად ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგემა სასწავლო პროცესზე დაკვირვების დროს გამოკვეთეს მოსწავლეების მზაობა, ინტერესი და შესაძლებლობები, რომელსაც დაეყრდნო სამომავლო წლის კურიკულუმით გათვლიწინებული შუალედური მიზნები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ კათედრის სხდომებზე, რასაც მოწმობს კათედრის ოქმები. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და პედაგოგები სკოლის პრიორიტეტებს ითვალისწინებენ საკუთარ სასკოლო სამუშაო გეგმასა და კურიკულუმების მომზადების დროს. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრებზე. საბაზო საფუხურზე წარმოდგენილი კურიკულიმები, შემუშავებულია პედაგოგთა ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე. ინტერვიების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავებამდე ხელს უწყობს კათედრების მუშაობასა და შეხვედრების ორგანიზებას, რომელზეც განიხილება და წინა წლის შეჯამება ხდება, მშობელთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მიხედვით. აღნიშნულის შემდეგ შემდგაც პედაგოგები თანხმდებიან და გამოყოფონე შუალედურ მიზენბს, სამიზნე ცნებებს, რომლებიც უშუალოდ დამუშავდება შუელედურ მიზენბზე მუშაობისას. კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისა და გაწერის დროს პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ მიგნებებს, რომელიც მათ ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებეზე აქცენტირებას. **შესაბამისად, 2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ურთიერთანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან. ინტერვიუს მიმდინარეობისას ასევე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების ჩარჩოსა და სასწავლო სამუშაო გეგმის შემუშავებულ ფორმებს მასწავლებელები წარადგენენ პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელებთან უკუვაშირის ფორმად კი გამოყნებული მშობელთა ბარათები, რომლებიც უშუალოდ შეხევდრების დროს უზიარდება მშობლებს. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ კურიკულუმის განხორცილებისა და მონიტონიგიის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები განხილული იქნება სასწავლო სემესტრის დასასრულს კათედრებზე და გამოვლენეილი მიგნებების შემდეგ მოხდება კურიკულუმების გადახედვა და მოდიფიცირება. **შესაბამისად, 2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები,
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური ნაცნობი თემები, საინტერესო მამოტივირებელი დავალებები და კონტექსტ მაგალითები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კურიკულუმის გამდიდრებას დავალებებითა და პროექტებით. **საზოგადოებრივ მეცნიერებების** სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, კურიკულუმბში ასახულია საგნობრივი ცნებები და ნაწილობრივ დაცულია პრინციპი, რომ ყველა სამიზნე ცნება უნდა მუშავდებოდეს ყველა საგნობრივ თემაში. მასწვალებლებმა გამოხატეს მზაობა რომ სასწავლო კურიკულუმების ჩარჩო

დოკუმენტები ყოველწლიურად განახლდება და გადაიხედაბა, რასაც მოჰყვება შუალედური მიზნების უფრო მეტად წარმოდგენა ჩარჩო დოკმენტებში. **სპორტის მიმართულებით** საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ოლიმპიზმი, ლაშქრობა. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილ **სახვითი ხელოვნების და მუსიკის** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) გამომდინარე, სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, დგინდება, რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ***სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის მიმართულებით გაამრავალფეროვნოს კურიკულუმი სხვადასხვა რესურსით (მაგალითად: თემის შესაბამისი მულტიმედიური ტექსტებით). ასევე დააკონკრეტოს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შესაბამისი ცნებება და ქვეცნება. ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით,*** **სასკოლო კურიკულუმებში გაიზარდოს შუალედური მიზნები/ ან სკოლამ წარმოადგინოს ისეთი ტიპის დავალება, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავებას ისეთ თემებში, რომელშიც არ გვხდება კომპლექსური დავალება. ასევე საგან გეოგრაფიაში არ გვხდება, შუალედური მიზნები, რაც მნიშვნელოვანია გაიწეროს და ამასთან ერთად დაზუსტდეს კონტექსტი, რომელთან მიმართებაშიც მოხდება ცნებების დამუშავაბა. ასევე, სასწავლო კურიკულუმი სრულყოფისთვის ფუნქციურ-კომპონეტური უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურიკულუმში გაწეროს ის მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები, რომელიც მათი აზრით დაეხმარება აღნიშნული მიმართულბების განვითარებაში. შესაბამისად, 2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენის, უცხო ენების, მათემატიკის და სპორტის კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ ფუნქციურ კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი კომპლექსური დავალებების განხორციელებით, რომელთა გააქტიურებასაც გეგმავენ სასწავლო პროცესში მუშაობის დროს. დავალებებში პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს

პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური და გრძელვადიანი მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშიდან (ინსტრუქციით) გამომდინარე, სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საზოგადიებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილი იყო ცნებების იერარქიის სახით. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების დროს პედაგოგებმა განმარტეს, შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში, რომელი ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითარონ ფუნქციური უნარები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუბეის დროს პედაგოგებმა ყურდაღება გაამახვილეს, თუ როგორ განავითარდებენ კონკრეტულ ფუნქციიურ-კომპონენტურ უნარები. **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები იგეგმება სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმები, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები. აღნიშნულით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს. თუმცა სასურველია შეიქმნას კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გახდება ინსტრუმენტი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების დასადგენად. ***სკოლას*** **მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეზე მორგებული**

პროდუქტის შექმნა და შესაბამისი ცნებების მიხედვით ჩაშლილი აქტივობები მოსწავლეს საჭირეოებებს კიდევ უფრო მეტად დაუხლოვდეს. შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე. იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ ცალკეულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნას. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ასევე ზეპირი და წერითი უკუკავშირით. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებენ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ. სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა: მათემატიკაში დახვეწოს კომპლექსური დავალების კონტექსტს მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. ***საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით შეფასების რუბრიკები უნდა გადაიხედოს და მომზადდეს ყველა თემისათვის. ფიზიკური აღზრდა და სპორტის მიმართულებით შეიმუშავოს საბაზო საფეხურზე გასავლელი თემების შესაბამისი მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*** **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში. როგორც თავად აღნიშნეს, კათედრაზე სასწავლო წლის დასწაყისში განიხილავენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და დირექციასთან ერთად ადგენენ თუ რა ტიპის სამუშაოები თუ რესურსებია საჭირო. სკოლას აქვს მზაობა, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე, გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, იყენებენ მიღებულ გამოცდილებას და აგრძელებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. **შესაბამისად, 2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

ხარვეზი: სკოლას აქვს გამოყოფილი სივრცე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის, თუმცა აღნიშნული სივრცე არ არის აღჭურვილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით და საბაზო საფეხურზე ვერ უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაკვეთილების ჩატარებას ლაბორატორიულ სივრცეში. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.11.2023-30.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით აღჭურვა.

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნულის საფუძველს ქმნის საგნობრივ კურიკულუმში მოცემული საინტერესო თემები და შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში კომპლექსური დავალებების, სხვადასხვა საინტერესო აქტივობების განხორციელება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. ისინი სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს, რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას, არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლა გეგმავს, გაამრავალფეროვნოს კურიკულუმი პროექტებითა და შემოქმედებითი აქტივობებით. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმში ასახოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა მუშაობა პროექტებზე, და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორციელებული აღნიშნული ინტერვენციები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გაიზარდოს შუალედური მიზნები, რომელიც თავის არსისთ იძლევა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის შესაძლებლობას*** **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის პედაგოგებს გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და ხელს უწყობს მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად ჩანს თითოეულ სავალდებულო თემაში ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია,

რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობირებული აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პრინციპები და სტრუქტურა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღწერეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. კონკრეტული საკითხის განხილვის დროს, მათ წარმოადგინეს მოდელირება, თუ როგორ წარმათავდნენ გაკვეთილს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა გაიხსენეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თუ რა გზებით ცდილობდნენ საკითხის განხილვის დროს მოსწავლეები ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით მიეყვანათ ახალ ცოდნამდე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიმართულებით სასწავლო პროცესში გარკვევულწილად კეთდება აქცენტები სწავლის სწავლაზე; პედაგოგები მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეხმარება მოსწავლეს იყოს თანამონაწილე საკუთარი სწავლის პროცესის. მაგ: შებრუნებული სასწავლო ოთახი, დისკუსია, დიაგრამებზე/ცხრილებზე მუშაობა. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი, საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება, ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დავალებებით. კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებები, ჩატარებული ინტერვიუებისა და პედაგოგების მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესი იმდაგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ორიენტირება სხვდასხვა საგნობრივ საკითხებზე და მათ შორის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების გამოკვეთაზე. აღნიშნულის კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოებისათვის პედაგოგებმა წარმოადგინეს სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მოცემული იყო კონტექსტ მაგალითები და აღნიშნული კონტექსტის გასააზრებლად საგნობრივი მაგალითები, სკოლაში მიღებულია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების ფორმა;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. **უცხო ენების** მიმართულებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. არის თემები, რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და ასევე თემები რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ინტეგრირებულად. **ესთეტიკური აღზრდის** მიმართულებით საბაზო საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი

წარმოდგენების გათავისებას საგნოვრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ***სკოლას მიეცა რჩევა სახელმწიფო ენაში დააკონკრეტოს შესასწავლად გამოკვეთილი ყველა დავალების შესაბამისი სამიზნე ცნება და ქვეცნება. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით*** **პედაგოგებმა დააკონკრეტონ სამიზნე ცნებები, რომელბიც დამუშავდება სხვდასხვა თემაში, იმისათვის, რომ დაცული იყოს პრონციპი - ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარად მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება. 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებთან ინტერვიუს და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლებისას სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მასწავლებელების მიერ გაზიარებულ დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და შუალედურ მიზნებზე მუშაობა ეყრდნობა ცნებებსა და ცნების მკვიდრ წარმოდგნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელებიც ასახავს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესს ასევევ მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმდგავარდ მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სისტემატურად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასებები და ურთიერთშეფასება, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების მექანიზმად კი სოლო-ტაქსონომია, რომელიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გააზრების ხარისხს. მასწავლებლები ასევე ითვალისწინებენ რა გარემოში ცხოვრობს მოსწავლე, მის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. სამომავლოდ კათედრებზე იგეგმება დამატებითი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. ***სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების***

მხარდასაჭერად მათემატიკაში შექმნას კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე. შესაბამისად, **2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია, როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც იკითხება შემდეგი: კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივისტანდარტისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით შეიმუშავებენ მოსწავლის შეფასებისათვის შეფასების ინსტრუმენტებს. მათემატიკის მიმართულებით ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, თუმცა რუბრიკებს მეტად დახვეწა სჭირდება. ***სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკაში მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასებისთვის სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე რუბრიკები.*** **შესაბამისად, 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. ინტერვიუების დროს ასევე პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ მოსწავლეებს განემარტებათ მათ მიერ მიღებული შეფასების არსი და ის პროცედურები, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებმა გამოიყენონ ნაშრომის შეფასების ობიექტურობაში დასარწმუნებლად. კათედრებზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას საჭირო ვადით. სასწავლო წლის ბოლოს კლასის დამრიგებლებს საგნის მასწავლებლებისგან შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის პირად საქმეში შეაქვს მოსწავლის მონაცემები, რაც ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. **შესაბამისად 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები;
- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საკმაოდ მაღალია ურთიერთანამშრომლობითი გარემო, რომელსაც მოწმობს სკოლაში ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობა. აღნიშნული ხელს უწყობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე კათედრებს შორის არის თანამშრომლობითი გარემო. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილის დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მიმართულების დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი წლის აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ფუნქციონირებასა და განვითარებას. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
2. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ცენტრალური ადგილი უკავია მოსწავლეებს და პროცესი ორიენიტირებულია მათ აკადემიურ პროგრესსა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. პედაგოგებმა განმარტეს, რომ ხდება მოსწავლეების საჭიროებების დადგენა, რისთვისაც იყენებენ სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რომლის შემდეგაც ხდება მოსწავლეების ინტერესების, მზაობისა და შესაძლებლობების განსაზღრა, რომელსაც შემდგომში ეფუძნება სასწავლო პროცესი. სასწავლო

პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სსსმ მოსწავლისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას შეფასების რუბრიკით. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად იძლება იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, პედაგოგები სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებენ შემდეგი წლის რესურსებსა და მუშაობენ შუალედური მიზნების დახვეწაზე. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად ესწრებიან ერთმანათს საგაკვეთილო პროცესზე. **შესაბამისად, 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. სკოლა სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა. აღიარებული, მიღებული და წახალისებულია მათი ინიციატივა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში წარმოადგინონ დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. **შესაბამისად, 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სსსმ მოსწავლის გეგმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო კურიკულუმის მოდიფიცირებასა და მონიტორინგს, რომელსაც მოწმობს მასწავლებლების მიერ მომზადებული კურიკულუმის ჩარჩო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტად სკოლას წარმოდგენილი აქვს ურთიერთდასწრების მექანიზმი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგეს აქვთ მზაობა პედაგოგიური პრაქტიკის გამოყენებით შეისწავლონ და მონიტორინგი განახორციელეონ, თუ როგორ ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და განხორციელება სასკოლო დონეზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის მესამე ინსტრუმენტის გამოყენებას. შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. ასევე, როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო სივრცეში კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ურთიერთანამშრომლობას. აღნიშნული მიმართულება სკოლას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმაში, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, პედაგოგების მიერ საჭიროებების გამოკვეთა და აღნიშნულზე დაყრდნობით ამოცანებისა და ამ ამოცანების გადაჭრისთვის ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სკოლას საბაზო საფეხურზე შეუძლია გამოკვეთოს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში არსებული პრობლემები და დაგეგმოს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგები საკუთარი და კოლეგების საქმიანობას მონიტორინგს უწევენ საგაკვეთილი პროცესზე ურთიერთანამშრომლობის პრინციპებეზე დაყრნობით. ახდენენ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შემდეგ ანალიზს. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ყოველდღიური დაკვირვების, კომპლექსური ბუნების დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე, მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა სწავლის პროცესს, ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს სადაც მოსწავლეებს დახმარება სჭირდებათ, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებ;
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასების მიმართულებით პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სკოლა აქტიურად იყენებს სხვდასხვა წყროებს სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში, როგორიცაა შემაჯამებელი დავლებების ანალიზები, რომლის მიხდვითაც დგინდება რამდენად იქნა მიღწეული სასწავლო პროცესის დასაწყისში დასახული მიზნები. ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს პედაგოგებთან გასაუბრებასა და მათგან მიღებული ინფორაციის მიხედვით გეგმავს შემდეგ სასწავლო წელს. შეფასების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პედაგოგთა მიერ სასწავლო პროცესის წლიური შეფასება და კათედრების მიერ საქმიანობის ანალიზის დოკუმენტაცია. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას, რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში იქნება საჭირო. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აფასებენ სხვადასხვა ჭრილში, არა მარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორიცაა სხვადასხვა შინაარსის მქონე ღონისძიებები, სპორტული აქტივობები, ოლიმპიადები და კონფერენციები. ასევე აღნიშნეს, რომ განახორციელებენ სწავლებას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შესაბამისად, შეფასება მოხდება წინასწარ შექმნილი რუბრიკებით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების მიზანი. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესების შესაფასებლად გამოიყენება მრავლფეროვანი მექანიზმი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შემდეგი სასწავლო წლისათვის იმის დასადგენად თუ რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს, გამოიყნეოს „მესამე ინსტრუმენტი“. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ტესტირება და ა.შ. სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან და დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. სკოლის და კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ამ მიმართულებით, ასევე შეფასების პროცესში ითვალიწინებს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ურთიერთანამშრომლობისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ითვალისწინებენ წინა სასწავლო წელს არსებულ გამოწვევებს და აღნიშნულის გათვალიწებით გეგმავენ შემდეგი წლის სასწავლო კურიკულუმებს. მნიშვნეოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროებისამებრ და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოდიფიცირდეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომელშიც შეცვლილი შეიძლება იყოს სამიზნე ცნებები და პროდუქტები. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ გეგმავენ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიებისა და მეთოდების მოდიფიცირდებას, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგებმა ყურაღება გაამახვილეს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება დაეყრდნობა მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილებას. პედაგოგები საკუთარი წინარე გამოცდილებას აჯამებენ კათედრების სხდომებზე და ამასთან ერთად აანალიზებენ საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი მიგნებებს, რომელიც გაზიარებულია ერთმანეთთან. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; სკოლის დოკუმენტაციის და კურიკულუმების შესწავლით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე და აღნიშნულ პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ, რაც დაადასტურა კათედრებთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა. მეთოდოლოგიაში გამოყოფილია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი და კურიკულუმის განხორციელების ეტაპები. დოკუმენტიდან ასევე ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. საშუალო საფეხურის მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალიწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რისი თქმის საშუალებასაც გვაძლევს ინტერვიუების დროს ჩანიშნული მიგნებები. ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ მასწავლებელებსა და კათედრებს შორის ურთიერთანამშრომლობის პრინციპი დაცულია. პედაგოგები ასევე აქტიურად თანაშრომლობენ ადმინისტრაციასთან, იცნობენ სკოლის მისიასა და ხედვას, რომელსაც ეყრდნობა სასწავლო კურიკულუმი. ამასთან ერთად ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგემა სასკოლო პროცესზე დაკვირვების პროცესში გამოკვეთეს მოსწავლეების მზაობა, ინტერესი და შესაძლებლობები, რომელსაც დაეყრდნო სამომავლო წლის კურიკულუმით გათვლიწინებული შუალედური მიზნები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ კათედრის სხდომებზე, რასაც მოწმობმს კათედრის ოქმები. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით პედაგოგები სკოლის პრიორიტეტებს ითვალისწინებენ საკუთარ სასკოლო სამუშაო გეგმასა და კურიკულუმების მომზადების დროს. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ საშუალო საფუხურზე წარმოდგენილი კურიკულიმი, შემუშავებულია პედაგოგთა ურთიერთანამშორმლობის საფუძველზე. სკოლას აქამდე არ ქონია პრაქტიკა კურიკულუმის შემუშავების რაც განხორციელდა წინასაავტორიზაციო პერიოდში. ინტერვიების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავებამდე ხელს უწყობს კათედრების მუშაობასა და

შეხვედრების ორგანიზებას, რომელზეც განიხილება და შეჯამება ხდება წინა წლისა გამოცდილების, მშობელთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მიხედვით, რის შემდგაც პედაგოგები თანხმდებიან და გამოყოფონე შუალედურ მიზნებს, სამიზნე ცნებებს, რომლებიც უშუალოდ დამუშავდება შუელედურ მიზნებზე მუშაობისას. კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისა და გაწერის დროს პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ მიგნებებს, რომელიც მათ ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებეზე აქცენტირებაში. მიუხედავათ ამისა უნდა ითქვას, რომ სკოლას სრულყოფილად არ აქვს მომზადებული ჩარჩო დოკუმენტები და საჭიროებს დახვეწას. ***სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით უზრუნველყოს საშუალო საფეხურების ჩარჩო დოკუმენტებისა და სასწავლო კურიკულუმის სრულყოფა***. დგინდება, რომ **2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა ინტერიუზე დაფუძნებით შეიძლევა ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს. ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება. მასწავლებლები მშობლებს აცნობენ სასწავლო საკითხებს და კომპლექსური დავალებებს მოსწავლის ბარათის მეშვეობით. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება საკომუნიკაციო არხები და ამ მიმართულებით მომავალში გამოიყენებენ სკოლის ვებ-გვერსაც. **შესაბამისად, 2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საგნობრივი კურიკულუმები,
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.
- ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტმაგალითები, გათვალისწინებულია საინტერესო მამოტივირებელი დავალებები. ინტერვიუსას მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ინიციატივით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კურიკულუმის გამდიდრებას დავალებებითა და პროექტებით, მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. პედაგოგემა აღწერეს თუ როგორ და რა მეთოდებით ააზრებინებენ მოსწავლეებს შუალედური მიზნების დროს დასამუშავებელ საგნობრივ ცნებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანშებში წარმოჩენილია საკითხთა კლასტერები და კონტექსტს მაგალითები, რომელთან მიმართებაშიც უნდა დამუშავდეს საგნობრივი ცნებები და ქვეცნებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნდა გადაიხადოს საშუალო საფეხურის კურიკულუმები და დაზუსტდეს საგნოვრივი საკითხები, კონტექსტები და ცნებები, რომელბიც უნდა დამუშავდეს მათთან მიმართებით. ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტები ყოველწლიურად განახლდება და გადაიხედაბა, რასაც მოჰყვება შუალედური მიზნების უფრო მეტად წარმოდგენა ჩარჩო დოკმენტებში. *სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა: სახელმწიფო ენაში შეიტანოს კურიკულუმის ჩაჩოში დანართის სახით გამოგზავნილი განსახორციელებელი კომლექსური დავალებები თემების შესაბამისად.* საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით *სასკოლო კურიკულუმებში გაიზარდოს შუალედური მიზნები/ ან სკოლამ წარმოადგინოს ისეთი ტიპის დავალება, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავებას ისეთ თემებში, რომელშიც არ გვხდება კომპლექსური დავალება. ასევე, სპორტში მოსწავლეებს შესთავაზოს ან განსხვავებული თემა, ან იგივე თემის ფარგლებში განსხვავებული საკითხების გავლა.* 2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ

დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ჩატარებული ინტერვიების გატვალიწინებით გარკვეულწილად გამოჩნდა, რომ სკოლას შეუძლია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აქცენტირდეს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომაზე. სასწავლო კურიკულუმებში აღნიშნული წარმოდგენილი იყო შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში პროდუქტის, როგორც ცოდნის ტრანსფერის არჩევანში. მოსწავლეები საკუთარი მზაობის შესაბამისად განსაზღრავენ თუ რომელი პროდუქტის შექმნით გამოხატავენ ცოდნას, გამომდინარე აქედან ინტერვიუების დროს პედაგოგებს დავაზუსტებინეთ აღნიშნული მიმართულების არსი. გამოიკვეთა რომ პედაგოგებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლიათ შეცვალონ შუალედური მიზნები და შეძლონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება, მათ შორის სსსმ მიმართულებით, საშუალო საფეხურზე სკოლას ყავს სსსმ მოსწავლე. აღნიშნული მიმართულებით სკოლაში საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლაში არსებულ ისგ ჯგუფებთან. ინტერვიუბისა და წარმოდგენილი დოკუმნეტების მიუხედავთ, უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური გეგმები საჭიროებს უფრო მეტ სიიცხადეს და უფრო მეტად დაახლოებს ესეგეს შედეგებთან. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს გათვალიწინებული იყოს მოსწავლეზე მორგებული პროდუქტის შექმნა და შესაბამისი ცნებების მიხედვით ჩაშლილი აქტივობები მოსწავლეს საჭირეოებებს კიდევ უფრო მეტად დაუხლოვდეს. ხოლო უცხო ენებში შეიქმნას კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გახდება ინსტრუმენტი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების დასადგენად. სასურველია კათედრამ გააუმჯობესოს ამ მხრივ პრაქტიკა და მოსწავლეებს შესთავაზონ კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.*** **შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შეფასება იწარმოება მკაფიოდ, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. პედაგოგებმა დოკუმენტი წარმოადგინეს ინტერვიუს დროს და ახსნენს რას ეყრდნობა რუბრიკები, განმსაზღრელი შეფასების შემთხვევაში თემის შედეგებს, ხოლო განმვითრებელი შეფასების დროს უშუალოდ სამიზნე ცნებების გააზრებას შუალედური მიზნების დამუშავების პროცესში. **სპორტის** მიმართულებით საშუალო

საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით გვაქვს განმავითარებელი შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი საფეხურის მაგალითზე), სადაც მოსწავლეების აქტივობები ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ასევე, სკოლამ გადმოაგზავნა მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების დახვეწას. ***სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა: დახვეწოს კომპლექსური დავალების კონტექსტს მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და მომზადდეს ყველა თემისათვის. სპორტში შეიმუშავოს საშუალო საფეხურზე გასავლელი თემების შესაბამისი მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით შემდეგი წლის სასწვლო კურიკულუმში წარმოადგინოს, თუ რა მიმართულებით გააგრძელებდა მუშაობა პროექტებზე, და ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ შედეგებთან მიმართებით იქნება განხორციელებული აღნიშნული ინტერვენციები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გაიზარდოს შუალედური მიზნები, რომელიც თავის არსისთ იძლევა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის შესაძლებლობას.*** **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საშუალო საფეხურზე, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდება წინა წლების გამოცდილების გაზიარება და გაწეული სამუშაოს მონიტორინგი, რომლის მიხედვითაც სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულწილად შეიცვალება შუალედური მიზნები, მოდიფიცირდა რესურსები, აქტივობები და პროდუქტი, რომელებიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უკეთ აღიქვან საკითხის არსი. პედაგოგები აღნიშნული მიმართულებით მიმართავენ ურთიერთანაშორმლობის პრინციპზე დამყარებულ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს, როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი, მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკითხება, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრის მუშაობა; სკოლის დირექცია. **შესაბამისად, 2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

ხარვეზი: სკოლას აქვს გამოყოფილი სივრცე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის, თუმცა აღნიშნული სივრცე არ არის აღჭურვილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით და საშუალო საფეხურზე ვერ უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაკვეთილების ჩატარებას ლაბორატორიულ სივრცეში. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.11.2023-30.09.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით აღჭურვა.

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებსა და სკოლაში განხორციელებულ ღონისძიებებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. სკოლა გეგმავს, გაამრავალფეროვნოს კურიკულუმი პროექტებითა და შემოქმედებითი აქტივობებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი უმეტესად მიმართულია საგნობრივი საკითხების გააზრებისკენ თეორიული მასალის დამუშავების საფუძველზე. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეთა შედეგებზე და გამოწვევებზე, რომლებიც მათი თვალთახედვით გააჩნია სკოლას. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ პედაგოგებს აქვთ მზაობა, მათ მიერ მოდიფიცირდეს და კომპლექსური დავალებები დაიტვირთოს ისეთი რესურსებითა და აქტივობებით, რომელებიც ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო გაზრდის სასკოლო სივრცეში მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის პედაგოგებს გათავისებული აქვთ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და ხელს უწყობს მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად ჩანს თითოეულ სავალდებულო თემაში ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაცულია სწავლის-სწავლების პრინციპი მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს გაიხსენეს კონკრეტული კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას თუ რა სტარტეგიებს იყენებდნენ აღნიშნული მიმართულებით. მაგ: კოგნიტური სქემისა და დიაგრამების გამოყენება, რომელებიც მათი განმარტებით მოსწავლეებს ეხმარებოდა დიდი ინფორმაციის მარტივად წარმოდგენასა და

გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს ასევე ყურადღება გაამახვილეს, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობიასას აქტიურად ხდება მოსწავლეების მხრიდან თვითრეფლექსიის გააქტიურება. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს საშუალო საფეხურზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. კურიკულუმებსა და მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულზე. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული ინტეგრირებული (ინტეგრირება სხვადასხვა საგნებთან: მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ქართული ენა ლიტერატურა) და სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესახებ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში პროექტის განხორციელებას. **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომების ოქმები;

- თვითშეფასების ფორმა;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელების მიერ გაზიარებულ დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და შუალედურ მიზნებზე მუშაობა ეყრდნობა ცნებებსა და ცნების მკვიდრ წარმოდგნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელებიც ასახავს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესს. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა, სამიზნე ცნება და მასთან დაკაშირებული მკვიდრი წარმოდგენები, რომელიც გარდაქმნილია კრიტერიუმებად და თან ახლავს კომპლექსური დავალების პირობებს, რომელებზეც მოსწავლეები რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მუშაობდნენ. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმართულება წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმეტებში. ***სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებმა დააკონკრეტონ სამიზნე ცნებები რომლებიც დამუშავდება სხვადასხვა თემაში, რათა დაცული იყოს პრიმციპი - ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. ასევევ მნიშვნელოვანია სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო იმდგავარდ მოდიფიცირდეს, რომ უფრო მეტად გამოიკვეთოს საკითხისა და კონტექსტ-მაგალითის ურთიერთმიმართება.*** **შესაბამისად, 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, იმართება მინი დისკუსიები, განიხილავენ პრობლემას სხვდასხვა კუთხით. მათ ნარატივს ადასტურებს სადამრიგებლო საათისათვს შერჩეული

თემატიკა, კურიკულუმში გათვალისწინებული თემები და დავალებები. კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. აღნიშნეს, რომ გაამრავალფეროვნებენ კურიკულუმს სხვადასხვა დავალებებითა და რესურსით. ამ ეტაპზე პედაგოგებს არ აქვთ სასწავლო პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, თუმცა გეგმავენ ერთობლივად განახორციელონ ისეთი პროექტები, რომელიც ამ მიმართულებით ბავშვის განვითარებას ხელს შეუწყობს. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართევენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას. იკვეთება მასწავლებლების სწორი ხედვა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას. კომპლექსური დავალების წარმოდგენილ რამდენიმე პირობაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. შესაბამისად, მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში, შექმნან სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ***სკოლას მიეცა რჩევა*** **ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მათემატიკაში დახვეწოს კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე. შესაბამისად, 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია, როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც იკითხება შემდეგი: კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივისტანდარტისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით შეიმუშავებენ მოსწავლის შეფასებისათვის შეფასების ინსტრუმენტებს. მათემატიკის მიმართულებით ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, თუმცა რუბრიკებს მეტად დახვეწა სჭირდება. ***სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკაში მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასებისთვის სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე რუბრიკები.*** **შესაბამისად, 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, რამდენად სწორად არიან მოსწავლეები შეფასებულები. მასწავლებლები ეცნობიან მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე, იცნობენ, თუმცა ჯერ არ აქვთ დანერგილი ავტორიზაციის ფარგლებში ნიმუშის სახით მიწოდებული შეფასების ინსტრუმენტები. სწორედ მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის გამოსავლენად იგეგმება დიაგნოსტიკური ტესტირება და მისი ანალიზი. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში საკმაოდ მაღალია ურთიერთანამშრომლობითი გარემო, რომელსაც მოწმობს სკოლაში ურთიერთდასწრების მექანიზმის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როგორც საგნობრივი კათედრის წევრებს შორის, ასევე კათედრებს შორის არის თანამშრომლობითი გარემო. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გაკვეთილის დაკვირვების პროცესში არსებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით მუშაობენ სასწავლო კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. პედაგოგები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მიმართულების დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო

გეგმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი წლის აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ფუნქციონირებასა და განვითარება. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ცენტრალური ადგილი უკავია მოსწავლეებს და პროცესი ორიენიტირებულია მათ აკადემიურ პროგრესსა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. პედაგოგებმა განმარტეს, რომ ხდება მოსწავლეების საჭიროებების დადგენა, რისთვისაც იყენებენ სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რომლის შემდეგაც ხდება მოსწავლეების ინტერესების, მზაობისა და შესაძლებლობების განსაზღრა, რომელსაც შემდგომში ეფუძნება სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მათ ინტერესებზე, საჭიროებებზე, თვითგანვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე. მოსწავლეთა ჩართულობით ტარდება ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრები, კლასის საათები, გასვლითი ღონისძიებები, გამოკითხვები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუბის პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ურთიერთანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით ცდილობენ სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას. აღნიშნულს მოწმობს, კათედრებს შორის თანამშრომლობა და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. პედაგოგები ერთმანეთთან კომუნიკაციით ქმნიან სასწავლო კურიკულუმებს. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და ერთად გეგმავენ შემდეგ წელს განსახორცილებელ აქტივობებს. პედაგოგები სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებენ შემდეგი წლის რესურსებსა და მუშაობენ შუალედური მიზნების დახვეწაზე. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად ესწრებიან ერთმანათს საგაკვეთილო პროცესზე. **შესაბამისად, 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ხდება კათედრებს შორის თანამშრომლობა (ინტეგრირებული გაკვეთილები). მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ასევე პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები. **შესაბამისად, 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები;
- სკოლის ფეისბუქგვერდი;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ კათედრაზე ხორციელდება წინა წლის შედეგების ანალიზი. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი

პრობლემების გადაჭრის გზებს, ახდენენ საწავლო კურიკულუმის მოდიფიცირებასა და მონიტორინგს. აღნიშნულს მოწმობს მასწავლებლების მიერ მომზადებული კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მოდიფიცირდა შუალედური მიზნები, შეიცვალა კომპლექსური დავალებების იდეები და სამიზნე ცნებები, რომელზეც ორიენტირდება დავალებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტად სკოლას წარმოდგენილი აქვს ურთიერთდასწრების მექანიზმი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგეს აქვთ მზაობა დანერგონ და განახორციელეონ სადიაგნოსტიკო შეფასება მესამე ინსტრუმნტზე დაყრდნობით და ამავდროულად პედაგოგიური პრაქტიკის გამოყნებით შეისწავლონ და მონიტორინგი განახორციელეონ, თუ როგორ ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და განხორციელება სასკოლო დონეზე. **შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის მესამე ინსტრუმენტის გამოყენებას (შეფასება მოხდება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ). ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით. ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წამოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ კათედრაზე ხორციელდება წინა წლის შედეგების ანალიზი. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. სკოლა მინიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დაისახება გეგმა პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად. **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- თვითშეფასების ფორმა.
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასების მიმართულებით საშუალო საფეხურზე პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა წყროებს სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში: მაგ: შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომლის მიხდვითაც დგინდება რამდენად იქნა მიღწეული სასწავლო პროცესის დასაწყისში დასახული მიზნები. ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს პედაგოგებთან გასაუბრებასა და მათგან მიღებული ინფორაციის მიხედვით გეგმავს შემდეგ სასწავლო წელს. შეფასების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პედაგოგთა მიერ სასწავლო პროცესის წლიური შეფასება და კათედრების მიერ საქმიანობის ანალიზის დოკუმენტაცია. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს საშუალო საფეხურზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოეების გათვალიწინებას, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. პედაგოგეგბთან ინტირვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია, როგორც

ადმინისტრაცია ასევე სკოლის პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავას პროცესის გაუმჯობესების გზებს. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. ამგვარი ერთობლიობა მეტნაკლებად უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ: აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო, კათედრების სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგების ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულიმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას. ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. დგინდება, რომ რომ მასწავლებლები ურთიერთანამშრომლობისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ითვალისწინებენ წინა სასწავლო წელს არსებულ გამოწვევებსა და აღნიშნულის გათვალიწებით გეგმავენ შემდეგი წლის სასწავლო კურიკულუმეს. მნიშვნეოვანია აღინიშნოს, რომ პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროებისამებრ და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოდიფიცირდეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომელშიც შეცვლილი შეიძლება იყოს სამიზნე ცნებები და პროდუქტები. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ გეგმავენ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიებისა და მეთოდების მოდიფიცირდებას, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგებმა

ყურაღება გაამახვილეს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება დაეყრდნობა მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილებას. პედაგოგებმა საკუთარი წინარე გამოცდილებას აჯამაბენ კათედრების სხდომებზე და ამასთან ერთად აანალიზებენ საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი მიგნებებს, რომელიც გაზიარებულია ერთმანეთთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას წლიერ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორნიგისა და მოდიფიცირების მექანიზმი, რომელიც სამომავლოდ განაპირობებს სკოლის მიერ პროცესის შეფასებასა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრას. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



27.11.2023წ
თარიღი